ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

**ირაკლი კობახიძე: „ნაციონალური მოძრაობა და მისი თითოეული განშტოება კრიზისში შევიდნენ“**



გვ.2

„ევროპული საქართველოს“ წევრებმა პარლამენტში თანამდებობები და კომიტეტები დატოვეს

**26 ნოემბრიდან**

იაკობ გოგებაშვილი

**საგანძური**

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი




პარასკევი, 29 ნოემბერი, 2019 №283 (8237) ფასი: 60 თეთრი

# „ივანიშვილმა აღიარა თავისი მმართველობის კრახი“



რომან გოცირიძე: „მის ინტერვიუში იყო საკითხები, რომლებიც იუმორისტულ შოუებში გადაინაცვლებს“

გვ.3

## „ივანიშვილი ელჩებს ხელს უქნევდა და ეძახდა, თქვენ მიშას დაბრუნება გინდათო“

გვ.2

## „პოლიტიკა მილიარდებით არ ისწავლება. ივანიშვილის ფულს მილიონი ხმა დაამარცხებს“



გვ.4

დავით ბერძენიშვილი: „ბიძინას მუქარის არავის ეშინია“

## ლადო სადღობელაშვილი: „გაზაფხულზე ვადამდელი არჩევნები იქნება“



გვ.3

## მამუკა ტუსკაძე: „დაბოქლომება შავი მაგიის ნაწილია“



გვ.5

## „პარლამენტის საქმიანობის შეჩერებით ქვეყანა არ დაიქცევა“



გვ.4

## „გადით პენსიაში და ერთმანეთს ლოტო ეთამაშეთ“

ანა დოლიძე ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს მიმართავს



გვ.2

ISSN 1987-9385

4

კარასინი: „ვაჟა გაფრინდაშვილი უახლოეს დღეებში სახლში იქნება“

2

ბექა ნაცვლიშვილი: „ივანიშვილმა ფინანსთა, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები გააუქმა“

4

მარიამ ჯაში პარლამენტში ახალ ფრაქციას, „დამოუკიდებელ დეპუტატებს“, ქმნის

6

აზერბაიჯანში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება

# „ივანიშვილი ელჩებს ხელს უქნევდა და ექახდა, თქვენ მიშას დაბრუნება გინდათო“

წყარო ნიუპოსტს უყვება, რომ უცხოეთის ქვეყნების ელჩებმა მმართველი პარტიის თავმჯდომარეს ახსნა-განმარტება მოსთხოვეს, რატომ ჩავარდა პროპორციული არჩევნები.

ბიძინა ივანიშვილს ნერვებმა უმტყუნა, ოლიგარქი იმდენად გაღიზიანებულია, რომ ქვეყანაში აკრედიტებულ დიპლომატებს თავისივე რეზიდენციაში თავს დაესხა, უყვირა და „მიშისტები“ ექახა.

აღნიშნული ინფორმაცია ნიუპოსტს ორმა ერთმანეთისგან დამოუკიდებელმა გავლენიანმა წყარომ დაუდასტურა.

საუბარია როსტომ მეფის სასახლეში გამართულ საგანგებო შეხვედრაზე, რომელიც წინა კვირას გაიმართა.

– ელჩებმა ბიძინას პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის შესახებ საჯაროდ დადებული პირობა შეახსენეს, უთხრეს, რომ ის საკუთარი სიტყვის წინააღმდეგ წავიდა და ქუჩაში მიმდინარე პროცესიც ლეგიტიმურია, რამაც ივანიშვილი წყობიდან გამოიყვანა, ხელებს იქნევდა და დიპლომატებს უყვიროდა, რომ ისინი ნაციონალების მხარეს არიან და საქართველოში სააკაშვილის დაბრუნებას ცდილობენ.



მას შემდეგ კი, რაც ელჩებმა პროტესტის ნიშნად შეხვედრის დატოვება ცადეს, ივანიშვილი თითქოს გონს მოეგო და დიპლომატებს უთხრა, რომ ის პარლამენტის დეპუტატების გადაწყვეტილებაში ვერ ჩაერევა, კანონპროექტის ჩაგდება კი ე.წ. ამბოხებულ დეპუტატებს გადააბრალა. საქართველოში გასაოცარი დემოკრატიაა, დეპუტატები პარლამენტში ღილაკზე თითის დამჭერები არ არიან, როგორც ეს სააკაშვილის დროს ხდებოდაო, – აცხადებს ანონიმური წყარო ნიუპოსტთან.

ნიუპოსტის ცნობით, სკანდალური შეხვედრის დეტალების შესახებ სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატებმა უკვე აცნობეს მათ მარწმუნებლებს.

ელჩები გაგზავნილ წერილში დიპლომატიურ ენაზე წერენ, რომ „ქართული ცნების“ გაღიზიანებულ თავმჯდომარეს ვერ აწყნარებდნენ.

ამავე დროს, ელჩებთან შეხვედრამ გავლენა მოახდინა თავად ოლიგარქის ემოციურ მდგომარეობაზეც. როგორც ნიუპოსტს კიდევ ერთმა წყარომ დაუდასტურა, ელჩებთან შეხვედრის შემდგომ დღეებში ივანიშვილს წნევის უეცარი მატება აღენიშნებოდა, თუმცა მან ამას ყურადღება მხოლოდ ორი დღის შემდეგ, ანუ მას შემდეგ მიაქცია, რაც ჰიპერტენზიამ სერიოზულად შეაწუხა.

საბოლოოდ, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ივანიშვილის ბიზნესცენტრში მედიკოსები იყვნენ მობილიზებული და ადგილზე რამდენიმეჯერ მივიდა თავად ჯანდაცვის მინისტრიც.

## ბექა ნაცვლიშვილი: „ივანიშვილმა ფინანსთა, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები გააუქმა“

გინახავთ თუ არა ისეთი ქვეყანა, სადაც მმართველი გუნდი ხალხს სხვა ქვეყანაში ჰპირდება დასაქმებას და არა საკუთარში? ივანიშვილმა ამ განცხადებით გააუქმა ფინანსთა, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროები.

ამ სიტყვებით დამოუკიდებელმა დეპუტატმა ბექა ნაცვლიშვილმა ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანს მიმართა, რომელიც გუშინ, 28 ნოემბერს, პარლამენტში „მინისტრის საათის“ ფორმატში გამოვიდა.



ბექა ნაცვლიშვილის განცხადებით, თუ ჩამოთვლილ სამინისტროებს ხალხის დასაქმების და ეკონომიკური განვითარების ფუნქცია არ ექნებათ, მათ არსებობას აზრი არ აქვს.

– ამის პრეცედენტი თუ გინახავთ, რომ ხალხს ეუბნებიან – სხვა ქვეყანაში დაგასაქმებთ, ჩვენს ქვეყანაში ვერაო? ფიქრობთ თუ არა, რომ ბიძინა ივანიშვილმა ამ განცხადებით ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო გააუქმა? იმიტომ, რომ თუ თქვენ დასაქმების და ეკონომიკური განვითარების ფუნქცია არ გექნებათ, მაშინ ამ სამინისტროების არსებობას აზრი არ აქვს.

ჩემი გადმოსახედით, მარტო ჯარი და პოლიცია არ არის სახელმწიფო. ბიძინა ივანიშვილის ეს გეგმა რომ განხორციელდება, ბიუჯეტში გიდევთ ფული, როგორ უნდა მოახდინოთ ხალხის ტრანსპორტირება? როგორ უნდა გაიყვანოთ ხალხი ქვეყნიდან? თუ თავიანთი ხარჯებით უნდა გავიდნენ? – მიმართა ნაცვლიშვილმა ფინანსთა მინისტრს.

## კახაბერ კუჭავა პარლამენტის ვიცესპიკერად აირჩიეს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილედ 83 ხმით არც ერთის წინააღმდეგ კახაბერ კუჭავა აირჩიეს.

ამავე კენჭისყრით კუჭავას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილება შეუწყვიტეს.

## ივანე მაჭავარიანი: „დღგ-ს თაღლითობის საქმეზე 62 ადამიანია დაკავებული“

### „123 მილიონის ღირებულების ქონებაა დაყადაღებული“

ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანის თქმით, დღგ-ს თაღლითობის საქმეზე 62 ადამიანია დაკავებული, რომელთა შორისაც უმრავლესობა ყოფილი საჯარო მოხელეები, მათ შორის პროკურატურისა და შემოსავლების სამსახურის ყოფილი თანამშრომლები არიან.



როგორც მინისტრმა „მინისტრის საათის“ ფარგლებში დღგ-ს თაღლითობის საქმეზე დასმული კითხვის საპასუხოდ პარლამენტში განაცხადა, უწყების მოქმედი თანამშრომლების მიმართ კითხვები არ არსებობს.

მისივე თქმით, დაკავებულთა შორის ბიზნესმენები ნაკლებად არიან.

– დღგ-ს თაღლითობის საქმეზე 102 პირის მიმართაა აღძრული სისხლის სამართლის საქმე, აქედან პატიმრობაში 62 ადამიანი იმყოფება.

ძალიან მცდარადაა წარმოჩენილი აზრი, რომ ბიზნესმენები არიან დაკავებულები. მინდა გითხრათ, რომ ძნელია ამ 62 ადამიანისთვის ბიზნესმენის დარქმევა. ბევრი მათგანი სხვადასხვა სახელმწიფო უწყების ყოფილი თანამშრომლები არიან, მათ შორის შემოსავლების სამსახურის, საგამოძიებო სამსახურის, მეტსაც გეტყვით, პროკურატურის. ასევე არის რამდენიმე კვაზი ბიზნესმენი, რომელიც რეალურად არც არასდროს ყოფილა ბიზნესმენი და წარსულში სხვადასხვა თაღლითობაში მონაწილეობდა, – განაცხადა მაჭავარიანმა.

მისივე თქმით, ჯამში, დაახლოებით 123 მილიონის ღირებულების ქონებაა დაყადაღებული საქმის ფარგლებში, ამოღებულია 700 ათასი ლარის ძვირფასეულობა, ავტომობილები, ოქრო, 6.3 მილიონის საწვავი.

მინისტრის თქმით, ამ მასშტაბის მსგავს თაღლითობასთან მომავალში ადგილი აღარ უნდა გვქონდეს და დიდი ინვესტირებაა გასაკეთებელი კომპიუტერულ პროგრამებში.

## ირაკლი კობახიძე: „ნაციონალური მოძრაობა და მისი თითოეული განშტოება კრიზისში შევიდნენ“

### „ევროპული საქართველოს“ წევრებმა პარლამენტში თანამდებობები და კომიტეტები დატოვეს

„ევროპული საქართველოს“ წევრები პარლამენტში მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებსა და პარლამენტის კომიტეტებს ტოვებენ. „ევროპულ საქართველოში“ შემავალი ფრაქციების წევრებმა პარლამენტს შესაბამისი თანამდებობების დატოვების შესახებ განცხადებით უკვე მიმართეს.



სერგი კაპანაძე პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტთან ერთად განათლების, მეცნიერებისა და კულტურის და ევროინტეგრაციის კომიტეტებს ტოვებს.

ელენე ხოშტარია ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტიდან მიდის.

რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს დეპუტატები ლაშა დამენია და ლელა ქებურია ტოვებენ.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრები კი აღარ იქნებიან ირაკლი აბესაძე და ოთარ კახიძე. ასევე, ოთარ კახიძე ტოვებს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტსაც.

ბიურომ გუშინდელ, 28 ნოემბრის სხდომაზე ოპოზიციონერი დეპუტატების განცხადებები მათ მიერ კომიტეტების დატოვების თაობაზე ცნობად მიიღო.



– ნაცმოძრობა თუ არ იქნება წარმოდგენილი შემდეგ პარლამენტში, ეს იქნება იდეალური ქართული დემოკრატიის სტაბილური განვითარებისთვის, – ასე შეაფასა ირაკლი კობახიძემ ეს ნაბიჯი.

კობახიძის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა და მასთან აფილირებული პარტიები კრიზისში შევიდნენ, საიდანაც გამოსავალს ვერ პოულობენ.

– ნაციონალური მოძრაობისა და მისი თითოეული განშტოების ყოველი ნაბიჯი იმ კრიზისის გამოხატულებაა, რომელშიც დღეს ნაცმოძრაობაა ჩავარდნილი, თუნდაც ეს გადაწყვეტილება თანამდებობებთან დაკავშირებით.

ისინი არიან კრიზისში, ვერ პოულობენ გამოსავალს ამ კრიზისიდან და ალბათ საბოლოო ჯამში მოუწევთ რაღაც გადაწყვეტილებების მიღება. რეალურად, ვხედავთ, რომ არა მხოლოდ მათი ეს დესტრუქციული ქმედებებია მილევად რეჟიმში, არამედ ზოგადად ნაცმოძრაობა, როგორც პოლიტიკური ძალა არის მილევად რეჟიმში.

ნაცმოძრაობა თუ არ იქნება წარმოდგენილი შემდეგ პარლამენტში, ეს იქნება იდეალური ქართული დემოკრატიის სტაბილური განვითარებისთვის, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## „გადით პენსიაში და ერთმანეთს ლოტო ეთამაშეთ“

### ანა დოლიძე ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს მიმართავს

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა ანა დოლიძემ სოციალური ქსელით ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს მიმართა.



„გწერთ ადამიანი, რომელიც ეცადა თქვენი ორივეს მიერ აშენებული ციხეების დანგრევას. თქვენ ჩვენ დაგვღალეთ. თქვენი ეგოების პერფორმანსები ისევე მოსაწყენია, როგორც ყოველ ახალ წელს ახლიდან ნაჩვენები გაცვეთილი რუსული კომედია. აქაც წინასწარ ვიცით, რაც მოხდება.

თქვენი საკუთარ თავისთვის თავმომწონეობას მიჰყვება ქვეყანა. რაც ნაკლებ განცხადებებს გააკეთებთ, მით უკეთესია, იმიტომ, რომ ზუსტად ვიცით უკვე, მათში რა ითქმის.

ყველაზე ადეკვატური თქვენ შორის ორთაბრძოლაში, რომელსაც ქვეყანა მიჰყვება, ერთი კარგი ფროიდიანული ფსიქოანალიტიკოსი იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, თქვენი განცხადებები იმდენად სცდება ქვეყნის ინტერესებს, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ კარგ ფსიქოანალიტიკურ საკვლევ მასალას თუ წარმოადგენს.

თქვენს თვალსაწიერში არ არის არც დაღლილი ხალხი, არც მშრომელი ემიგრანტები, არც მშიერი და ქუჩაში დაყრილი მოხუცები და ბანკში წინასწარ დატოვებული მათი პენსიები, არც სიცივეში გათბობის გარეშე დარჩენილი ბავშვები, არც გამონაბოლქვით მსუნთქავი მოსწავლეები, არც დაღლილი დემონსტრანტები და პოლიციელები, არც აყრილი გზები და არც კორპუსებს გარეშე დარჩენილი რამდენიმე კვადრატული მეტრი, არც დეპრესიაში ჩავარდნილი მოზარდები და ავარიებისგან დაშლილი ოჯახები.

ეს ზუსტად ვნახეთ და ვიცით.

თქვენ შეპყრობილნი ხართ ერთმანეთთან ეგო შეტაკებებით, ჩვენი კი ვოცნებობთ სულ სხვა ქვეყანაზე“, – წერს ანა დოლიძე.

ის აღნიშნავს, რომ ივანიშვილი და სააკაშვილი ხალხს ასეთ ქვეყანას ვერ მოუტანენ.

„არა იმიტომ, რომ არ შეგიძლიათ, არამედ იმიტომ, რომ თქვენს სამყაროში არსებობს მხოლოდ თქვენი დუელი, სადაც ხალხს მხოლოდ სეკუნდანტების როლიღა დაგვრჩა. იმ სეკუნდანტების, რომლებიც ამასობაში დაბერდნენ.

მოკლედ, თქვენი მენტალური პენსიის დროა. დაგვღალეთ. წადით, ერთად წადით და ერთმანეთს ლოტო ეთამაშეთ, ან ჭადრაკი, ან დომინო. აზარტულს ნუ ითამაშებთ რამეს, შეჩვევა იცის“, – წერს ანა დოლიძე.

## კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარედ ირაკლი ლექვინაძე დაინიშნა

საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარედ ირაკლი ლექვინაძე დაინიშნა.

შესაბამის ინფორმაციას კონკურენციის სააგენტო ავრცელებს.

პროფესიით ეკონომისტი, ბიზნესადმინისტრირების დოქტორი ირაკლი ლექვინაძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას ბრძანების შესაბამისად, საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარედ დაინიშნა.

წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს ბიზნესომბუდსმენი, დედაქალაქის მერის მოადგილე, არაერთი საერთაშორისო პროექტის ხელმძღვანელი, ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ვიცეპრეზიდენტი, – აღნიშნულია უწყების ინფორმაციაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# რომან გოცირიძე: „ივანიშვილმა აღიარა თავისი მმართველობის კრახი“

## „მის ინტერვიუში იყო საკითხები, რომლებიც იუმორისტულ შოუებში გადაინაცვლებს“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი **რომან გოცირიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო რომან, როგორ აფასებთ ბიძინა ივანიშვილის ინტერვიუს? მთავარი აქცენტი ნაციონალურ მოძრაობაზე იყო გაკეთებული.***

— ეს იყო შეშინებული ადამიანის ინტერვიუ. მან, ფაქტობრივად, აღიარა თავისი მმართველობის კრახი, მაგრამ, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ეკონომიკური წარუმატებლობა ოპოზიციას დააბრალა. თურმე ოპოზიცია არ აძლევს ხელისუფლებას არგუმენტირებულ რჩევებს, არ გვასწავლის, რა უნდა ვაკეთოთ!

ერთი მხრივ, უცნაური აღიარებებიც იყო. არაპროფესიონალიზმზე ისაუბრა. როგორ შეიძლება, პროფესიონალები იყვნენ, როდესაც მთელი მისი გუნდი ბანკ „ქართუს“ კადრებისგან შედგება. ყველა პოსტზე, პარლამენტსა თუ მთავრობაში, ბანკ „ქართუში“ დაფრთიანებული არაპროფესიონალები არიან, ისინი მართავენ. ამიტომ მართალი შენიშვნა იყო.

ასევე იყო საკითხები, რომლებიც აუცილებლად იუმორისტულ შოუებში გადაინაცვლებს, მაგალითად, „ენდიაისა“ და „აირაის“ რომ უნდა უჩივლოს კონგრესში ან სენატში.

***— ეს ძალიან სერიოზული საკითხი იყო. ის უნდობლობას უცხადებს ამ ორგანიზაციებს.***

— ეს დაახლოებით ისეთი რაღაცაა, თქვენს გაზეთს მე პარლამენტში რომ ვუჩივლო, კერძო, დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელსაც გაკრიტიკებული ვყავარ და სწორედ ამიტომ უნდა ვუჩივლო, თანაც ამას ისეთი აჟიტირებით ამბობდა, რომ ეს მისი წერილი კონგრესში თითქოსდა მოვლენა გახდებოდა.

უკვე ჭარბ ნდობაზე ქვეყნის შიგნით აღარ საუბრობს, მაგრამ შეიძლება ფიქრობს, რომ ახლა ეს ჭარბი ნდობა აქვს ქვეყნის გარეთ, მაგალითად, ამერიკის კონგრესში ან სენატში.

ასეთი კომიკური პასაჟები ნამდვილად იყო. ამის დარი პასაჟი იყო ასევე, ჩვილი ბავშვი დედამ რომ უნდა აღზარდოს. ადრე ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში ნათქვამი აქვს, რომ ბავშვი დედასთან 60 წლამდე უნდა იზრდებოდეს, ხალხმა მაშინ კარგად ვერ გაიგო, 3-4 წლამდე თუ 60 წლამდე, რა ასაკის ბავშვებზე იყო საუბარი, ახლა უკვე გაირკვა, რომ საუბარია სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე.

დამაფიქრებელი ინტერვიუ იყო. ბოლო მოტყუების მცდელობა ჰქონდა, მაგრამ არ გამოუვიდა, პროპორციულ არჩევნებზე როდესაც საუბრობდა.

***— თქვა, პირობა არავისთვის მიგვიციაო. ელოდით, რომ მართლაც არ შესრულდებოდა ეს დაპირება და ჩავარდებოდა?***

— ჩვენი მხრიდან ეს იყო ცალმხრივი დაპირება, არავისთან ხელშეკრულება არ გაგვიფორმებია, ანუ მოსატყუებლად ვთქვიო, წამოსცდა. არადა, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას, დასავლელ პარტნიორებს, ჩამოსულ დელეგაციებს ამ ცვლილებაზე ეუბნებოდნენ. ნაყიდი ხმებით დასმულ პრეზიდენტს გაეროს მაღალი ტრიბუნიდან ათქმევინა, რომ უფრო დემოკრატიულ საარჩევნო სისტემაზე გადავდივართ.



***— ამ ინტერვიუს ერთ-ერთი მთავარი გზავნილი იყო, რომ ნაციონალური მოძრაობა ვერ მობრუნდება. რას უპასუხებთ?***

— ერთ-ერთ წინა ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობა 70-ჯერ ახსენა. ახლა არ დაგვითვლია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ნაკლებჯერ არ უხსენებია. ამ ინტერვიუებს შორის „ედისონ რისერჩის“ სოციოლოგიური კვლევა გამოქვეყნდა და ნაციონალური მოძრაობა პარტიებს შორის პირველ ადგილზეა კეთილგანწყობის რეიტინგში.

ნაციონალური მოძრაობა არ აპირებს, არც იქნება რეალისტური იმაზე გათვლა, რომ მომავალ არჩევნებში გავიმარჯვოთ ისე, რომ მთლიანად ჩვენ დავაკომპლექტოთ მთავრობა. ნაციონალური მოძრაობა დიდ კოალიციაში იქნება.

***— ეს არის თქვენი პასუხი მობრუნებაზე?***

— დიახ! საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ფორმირება კოალიციურ რეჟიმში მოხდება. სწორედ ეს კოალიცია იქნება ის, რომელიც არჩევნებში ქვეყანას გაკოტრებულ „ქართულ ოცნებას“ მოაცილებს.

***— პარლამენტთან ოპოზიციას უკვე რკინის კედლები დაგხვდათ. რას აპირებთ, ტაქტიკას ხომ არ ცვლით?***

— არ არის ეს რკინის კედლები, ეს არის შიშის კედლები! ბიძინა ივანიშვილის შიშები მატერიალიზდა და მან ფიზიკური ფორმა შეიძინა. ადამიანმა პარლამენტი შემოღობა. იმის ნაცვლად, რომ ჩვენ ვმდგარიყავით ცოცხალ კედელში, ფოლადის კედელი თავად აღმართა და იქ ჩასვა პარლამენტი.

***— როგორ წარმოგიდგენიათ გაგრძელება?***

— მუდმივი პროტესტის ქვეშ. ყოველი შეკრება პარლამენტში თუ მთავრობის კანცელარიაში მუდმივი პროტესტის ქვეშ იქნება. პროტესტი იქნება პარლამენტის შიგნითაც. უკვე იყო ასეთი პროტესტი პარლამენტის ეზოში, როდესაც ერთმანეთს შეხვდნენ ნიკა მელია და „ოცნების“ დეპუტატი, რომელმაც ბავშვობის მეგობარი გასწირა ღილაკზე თითის მიჭერით.

***— ვის გულისხმობთ?***

— ბექა ოდიშარიას, რომელიც ნიკა მელიას ბავშვობის მეგობარი იყო. პროტესტის სიამოვნებას არსად მოვაკლებთ. მიუხედავად ჩვენი ბოიკოტისა, სხდომათა დარბაზშიც შევალთ და იქაც გავაპროტესტებთ.

მხილების პროცესი გაგრძელდება ყველა დონეზე. პროცესი რეგიონებშიც გადაინაცვლებს.

# ლადო სადღობელაშვილი: „გაზაფხულზე ვადამდელი არჩევნები იქნება“

ნონა ცაბაძე



ქვეყანაში განვითარებულ პროცესებს „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში **ლადო სადღობელაშვილი** აფასებს.

***— ლადო, ბიძინა ივანიშვილის სატელევიზიო ინტერვიუს არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ძირითადად კრიტიკა მოვისმინეთ ყველა მხრიდან. რა იტყვით თქვენ, რა მესიჯები ამოიკითხეთ მის ინტერვიუში?***

— მისი ეს ინტერვიუ არაფრის მომცემი არ იყო, არც მომგებიანი და არც წამგებიანი, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ამ ეთერიდან პირადად მე ბევრი ნიუანსი დავიჭირე.

***— რა ნიუანსი?***

— ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ის ფრაზა, სადაც ივანიშვილი ამბობს, რომ ჰქონდა საუბარი ოპოზიციის რამდენიმე წარმომადგენელთან 20 ივნისის მოვლენების შემდეგ. ეს რას ნიშნავს?! ვთქვათ ისიც, რომ ეს არ იყო პირდაპირი ეთერი, რომ რამე გაჰპარვოდათ. ეს იყო დაჭრილი და წინასწარ დამონტაჟებული ინტერვიუ.

***— ანუ გამიზნულად თქვა?***

— დიახ. რა უნდა ბიძინა ივანიშვილს, ლუსტრაცია მოახდინოს იმ ოპოზიციის, რომელიც მასთან დადის თურმე ფარულად შეხვედრებზე?! ჩვენ კარგად ვიცით, ვინც იდგა იქ 20 ივნისს – ნაციონალები და კოლექტიური ბოკერიები.

***— რის თქმა უნდოდა ამით ივანიშვილს?***

— მან გამიზნულად მიანიშნა, რომ ეს აქციებია, გამოსვლები თუ დღევანდელი ვითარება თუ რაც არის, ყველაფერი მისგან იმართება, მასთან შეთანხმებულია ყველაფერი.

მე ასე მივიღე ეს ფრაზა. ოპოზიცია რომ ხარ და გინდა, რომ ეს ადამიანი წავიდეს და დატოვოს ქვეყნის მმართველობა, მაშინ რა ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებ მასთან?! გამოდის, ეს ოპოზიციაც ბიძინასგან იმართება. ის ოპოზიცია, რომელიც 20 ივნისს იქ იდგა და რომლის გამოც კობახიძე წავიდა თანამდებობიდან, გამოვიდა, რომ ბიძინას მიერ მართული იყო. რა გამოდის, ბიძინას სურდა კიდეც, რომ კობახიძე წასულიყო?!

***— ივანიშვილმა ვერ შეძლო იმის აღიარება, რომ მისი ინიციატივით ჩავარდა პროპორციული და რომ ეს ყველაფერი დადგმული სპექტაკლი იყო.***

— ჩვენ არც ერთი დაპირება, რომლებიც გავეცით, არ დაგვირღვევიაო, თუმცა იქვე დასძინა, დაპირებამ, რომელიც ეხებოდა პროპორციულ არჩევნებს, დამანახა, რომ გუნდში დიდი განხეთქილება იყო, გუნდიდან 20 დეპუტატი აპირებდა წასვლას და პროცესები თვითდინებაზე მივუშვიო.

რა გამოდის? 20 დეპუტატს გაუფრთხილდა და იმიტომ მიუშვა, მაგრამ, სამაგიეროდ, დაკარგა 12 დეპუტატი. ის 12 დეპუტატი, რომელიც ალაგებდა დასავლეთთან ურთიერთობას. ყველა ძალიან საინტერესო დეპუტატი დაკარგა. მე მათი პოლიტიკური შეხედულებები მომწონს თუ არ მომწონს, ეს ერთია, მაგრამ ისინი იყვნენ ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური პარლამენტარები.

ბიძინა ივანიშვილმა პროპორციული სისტემის ჩაგდებით დაკარგა ყველა ის დეპუტატი თავისი გუნდიდან, რომლებიც პროდასავლურები იყვნენ. მე მაქვს დიდი ეჭვი, რომ ეს მან შეგნებულად გააკეთა.

***— რატომ შეგნებულად?***

— მას არ მოსწონდა ის, რომ ვიღაცა მისი გუნდიდან, თუნდაც რაღაცა რეპორტების ან თუნდაც ცოცხალი აგენტურული წარმომადგენლების სახით ამერიკას უგზავნიდა შიდა სამზარეულოს ნიუანსებს. ეს აგენტურა ძალიან ახედებდა დასავლეთს გუნდის მუშაობაში.

***— ასეთი რაღაც მართლა ხდებოდა?***

— რა თქმა უნდა, ხდებოდა. ჩუგოშვილი „ოცნების“ საპარლამენტო სიაში მოხვდა არაოფიციალურად, ამერიკის ერთ-ერთი გუნდის რეკომენდაციით. იმ რეკომენდატორებს შორის არიან ძალები, რომლებიც მკვეთრად წინააღმდეგი და რადიკალურად განწყობილნი არიან რუსეთისადმი. რატომ მოხვდა ჩუგოშვილი, თავისი ლამაზი თვალების გულისთვის მოხვდა?! მოხვდა იმიტომ, რომ შიგნიდან კონკრეტული საქმე გაეკეთებინა.

***— რა საქმე ევალებოდა?***

— რეპორტები ამერიკისადმი, აი, ეს ვალდებულება ჰქონდა ჩუგოშვილს. გზავნილები უნდა ეკეთებინა. მხოლოდ ჩუგოშვილზე არ ვსაუბრობ, სხვა დეპუტატებიც აკეთებდნენ მსგავს საქმეს.

***— ანუ ბიძინამ ტაქტიანად მოიშორა ეს გუნდი?***

— აი, მაგის თქმა მინდა ზუსტად, რომ ივანიშვილმა ძალიან ტაქტიანად მოიშორა, ისე, რომ დასავლეთთან საბოლოო ხიდები არ ჩაწვა, თავისით დატოვეს გუნდი და მე რა ვქნაო, იტყვის. თუმცა მან თავისი გუნდიდან არ მოიშორა პრორუსული ორიენტაციის პარლამენტარები. ეს არის იმის ნიშანი, რომ გუნდი გადადის...

***— რუსულ ვექტორზე?***

— დიახ, მიიწევს ჩრდილოეთისკენ. შეიძლება, ასე მკვეთრად ვერ გადაიხაროს, მაგრამ იშორებს ყველანაირ ვალდებულებას ამერიკასთან. თუნდაც ელჩების მისვლა „ოცნების“ ოფისში და უშედეგოდ ამ მოლაპარაკებების დასრულება რას ნიშნავს? ეს ნიშნავს იმას, რომ ბიძინა ივანიშვილი არ ითვალისწინებს დასავლეთს. ამავე დროს, ეს რომ ყოფილიყო დასავლეთის მიერ შეკვეთილი აქციები, რაც დღეს ხდება რუსთაველზე, მაშინ ძალიან სერიოზულად იქნებოდა დაფინანსებული. დასავლეთს ეს ბოკერიები და ნაცები ძალიან არ ეხატება გულზე.

წინა ინტერვიუში გითხარით, რომ ხაზარაძე არ არის დაპირისპირებული ბიძინასთან, მხოლოდ გახარიასთან არის დაპირისპირებული. ეს სიტუაცია ჩემს ვერსიას კიდევ უფრო ამყარებს.

***— რას გულისხმობთ?***

— შეხედეთ, რა ხდება. ხაზარაძე პრაქტიკულად ჩამოეხსნა ოპოზიციას. ის უარს აცხადებს მკვეთრ რადიკალურ აქციებზე, ამბობს, რომ ამ გზით არ წავა, პროტესტს გამოთქვამს, მაგრამ რადიკალიზაციისკენ არ მიდის.

ის პირდაპირ დალაგდა ბიძინასთან. ის პრობლემები, რომლებიც აწუხებდა ხაზარაძეს, დალაგდა და ამიტომაც ის გაერთიანებულ ოპოზიციაშიც მოიაზრება, მაგრამ უარს ამბობს რადიკალურ ფორმებზე, მაშინ როდესაც ყველამ კარგად ვიცით, რომ რადიკალური ფორმების გარეშე რთულია სასურველი შედეგი მიღება, თანაც ისეთ ხელისუფლებასთან, რომელიც პრაქტიკულად დიქტატურაზეა გადასული.

***— ანუ დიქტატორული მმართველობაა?***

— ჩვენ ვხედავთ, რომ „ოცნება“ მთლიანად მარტო დარჩა, არანაირი კოალიცია, არანაირი შემავალი პარტიები, ყველა ჩამოიშორა და მარტო, ერთპიროვნულად მართავს ქვეყანას. როგორც მართავს, ამასაც ვხედავთ. სრულიად მარტო არიან დარჩენილი, ველიდან გამქრალია ირმა ინაშვილიც. ხაზარაძის მსგავსად, მათაც ერთგვარი გარანტიები აქვთ მიღებული.

ზოგიერთმა პატარა პარტიამ უკვე თანხმობა განაცხადა შერეული სისტემით არჩევნებში მონაწილეობაზე. ზუსტად ვიცი, რომ თამაზ მეჭიაურმა განაცხადა, მონაწილეობას მიიღებს ძველი სისტემით არჩევნებში და ბოიკოტს არ გამოუცხადებს არჩევნებს.

ე.ი. რა გამოდის? მამუკა ხაზარაძე დუმს, ირმა ინაშვილი დუმს. დუმილი კი თანხმობის ნიშანია. ბიძინამ გარეთ გამოსულ ოპოზიციას რომც არ დაუთმოს არაფერი, არჩევნები მაინც შედგება, იმიტომ, რომ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს პატრიოტთა ალიანსი, ხაზარაძე და ასევე მეჭიაური.

***— და ჩაითვლება, რომ ოპოზიციამ აღიარა ეს არჩევნები?***

— რა თქმა უნდა! ასე იქნება.

***— რას იტყვით ოპოზიციის იმ ნაწილზე, რომელიც ქუჩაშია, ერთიანია და აცხადებს, რომ არაფერს დათმობს?***

— ერთიანობას რაც შეეხება, მათ შორის მართლაც არის სერიოზული კოორდინაცია, მაგრამ მათი ქმედება ფართხალს უფრო ჰგავს. ამ ძალას საპარლამენტო ტრიბუნა აღარ დარჩა, შიგნით წააგეს და ამიტომ ბრძოლა დაიწყეს პარლამენტს გარეთ. ეს საბოლოო გზაა, ამის მეტი გზა აღარ არსებობს.

მათ ძალიან დაბალი რეიტინგი აქვთ. თავს ზევით ძალა აღარ აქვთ, ამიტომ არიან ამ დღეში. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უსუფაშვილის პარტიას ბიძინამ ირიბი დაფინანსებები რომ გამოუჩინოს არჩევნებში, ისინიც დათმობენ თავიანთ პოზიციებს.

***— ანუ ამ ერთობაშიც არიან პარტიები, რომლებთანაც ვაჭრობა შეუძლია ივანიშვილს?***

— რა თქმა უნდა, არიან. კუკავას რომ მისცენ დაფინანსება და დაჰპირდნენ, რომ ერთი-ორი კაცით შეიყვანენ პარლამენტში, ან იმავე ნინო ბურჯანაძეს, დიდი სიამოვნებით დათანხმდებიან ამ შეთავაზებას.

***— სიტუაციის როგორი სცენარით განვითარებას ელით? ნაციონალები და ბოკერიას ფრთა მაქსიმალურად შეეცდებიან ქუჩაში სიტუაციის გამწვავებას.***

— რა თქმა უნდა, შეეცდებიან. ხულიგნობის გზაზეა დამდგარი ბოკერია და მისი პარტია. ნაცმოძრაობა მუდამ ამ გზით დადიოდა.

***— ძალიან ცუდი სანახავია რკინის კონსტრუქციით შემოღობილი პარლამენტი და პოლიციით სავსე ქუჩები.***

— კი, ნამდვილად ცუდი სანახავია. დილის 9 საათიდან ამდენი ყვირილი და ზუზუნი დიდი ნეგატივია. ხალხიც ვერ გამოჰყავს ოპოზიციას.

***— რატომ უჭირთ ხალხის გამოყვანა?***

— იმიტომ, რომ არ აქვთ მხარდაჭერა. არც დასავლეთის მძაფრი სურვილი ჩანს ივანიშვილის ცვლილების. დასავლეთმა ხელები დაიბანა, ბოკერიებსა და მისნაირებს აღარ აძლევს ფულს. აღარც სააკაშვილი იძლევა ფულს და ამიტომ ვერ ხერხდება ხალხის მობილიზება.

გამოყვანილი ხალხის შენარჩუნება ვერ ხერხდება. ამათი ერთადერთი სურვილი და მიზანი არის ის, რომ პროვოკაციაზე წამოაგონ ძალოვანი უწყებები, იქნებ როგორმე ხალხი გამოიყვანონ გარეთ. ესენი ვეღარ ახერხებენ საკუთარი რეიტინგის ამაღლებას, ამიტომ გადავიდნენ იმაზე, რომ მაქსიმალურად დასწიონ „ოცნების“ რეიტინგი.

ჯერჯერობით არ გამოსდით, რადგან ჭკვიანურად იქცევა შსს და გომელაური. მან ერთი ხელკეტიც კი არ იხმარა. ჯერჯერობით შეცდომებს არ უშვებენ. ყოველი მიტინგის დაშლისას ბეწვის ხიდზე გადიან.

***— რადგან ოპოზიცია დათმობაზე არ მიდის, ხომ არ მივიღებთ საბოლოოდ ვადამდელ არჩევნებს?***

— მე თავიდანვე ვამბობდი, რომ ეს ყველაფერი ვადამდელი არჩევნების პრეისტორიაა. ზუსტად ეს იქნება დათმობა ხელისუფლების მხრიდან. დაინიშნება ვადამდელი არჩევნები ძველი, შერეული სისტემით. ერთადერთი, შეიძლება ბარიერი დასწიონ. რაც შეეხება ოპოზიციას, ბოკერიას გუნდი ინტელექტუალურ რგოლს წარმოადგენდა პარლამენტში, როდესაც ტოვებენ პარლამენტს და გადიან ქუჩაში, ეს გულდასაწყვეტია, რადგან ისინი ინტელექტუალებად ითვლებოდნენ.

შესაბამისად, მათი ეს გამოსვლა ქუჩაში ხაზს უსვამს მათ უსუსურობას. ეს ნამდვილად არ არის მათთვის კარგი გზა. ისიც ზუსტად ვიცი, რომ ბოკერიას პარტიიდან ბევრი დარბის ბიძინასთან.

***— მაინც ვინ?***

— მე მაქვს ინფორმაცია, რომ თუნდაც გიგი უგულავა. იმიტომაც აპატია დანაშაულები, არ აღიძრა მასზე საქმეები, გამოიყვანა და თავის ხელის ბიჭად აქცია – უგულავა ბიძინას ხელის ბიჭია, ოღონდ ბოკერიას გუნდში შეგზავნილი.

მე 99%-ით ვარ დარწმუნებული, რომ იქნება ვადამდელი არჩევნები. ამ ე.წ. ამბოხებული მაჟორიტარებისგანაც მოვისმინე ეს მესიჯი, რომ იქნება რიგგარეშე. გვიან გაზაფხულზე არჩევნები უნდა ველოდოთ.

# „პოლიტიკა მილიარდებით არ ისწავლება. ივანიშვილის ფულს მილიონი ხმა დაამარცხებს“

## დავით ბერძენიშვილი: „ბიძინას მუქარის არავის ეშინია“

იაგო ნაცვლიშვილი

გუშინ, 28 ნოემბერს, ოპოზიციას პარლამენტთან მორიგი აქცია ჰქონდა დაანონსებული, რომლის ფარგლებშიც პარლამენტის ყველა შესასვლელის პიკეტირება იგეგმებოდა, თუმცა გამთენიისას აქციის მონაწილეებს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა დაასწრეს, თბილისის შუაგულში რკინის ჯებირები გააკეთეს და, ფაქტობრივად, პიკეტირება მათ მოაწყვეს. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები პარლამენტში მიწისქვეშა გზებით, პარლამენტთან დამაკავშირებელი გვირაბის საშუალებით მოხვდნენ.

ოპოზიციონერ დეპუტატებს პოლიცია საკანონმდებლო ორგანოს შენობაში არ უშვებდა, თუმცა საბოლოოდ, დიდი დავიდარაბის შემდეგ, ისინი პარლამენტში მაინც შევიდნენ და გარკვეული დისკომფორტი მოუწყვეს უმრავლესობის წარმომადგენლებს.

პარალელურად პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, პარლამენტარები თუ ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ოპოზიციას დესტრუქციულ ძალას უწოდებენ და აცხადებენ, რომ ისინი კანონს არღვევენ და სახელმწიფო დესტრუქციას არ დაუშვებს. გაისმა გზავნილები, რომ ასეთ დესტრუქციულ ძალებთან დიალოგი შეუძლებელია.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესების, ოპოზიციის სტრატეგიისა და იმის შესახებ, თუ რატომ არ ჩანს აქციის წინა პლანზე, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი **დავით ბერძენიშვილი** საუბრობს.

***– დავინახეთ, როგორი ჯებირები გაავლეს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა პარლამენტთან, დედაქალაქის შუაგულში. უკვე დასწრებაზეა პიკეტირება? აქამდე მივიდა საქმე?***



– დიახ, დავინახეთ, რომ ივანიშვილმა 27 ნოემბრის საღამოს დაიწყო თავისი არაადეკვატურობის დემონსტრირება საჯაროდ. სანამ ამერიკელი კონგრესმენებისთვის ის წერილი გაუგზავნია, რომლის შესახებაც „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში საუბრობდა, მანამ სისხამ დილით შავი კარკასი ამოაშენა პარლამენტში. ახლა კიდევ ოპოზიციის გარე პიკეტი, მერე შეიძლება ამოაშენოს კედლები და საერთოდ ძალიან არაადეკვატურია მისი ქცევები. იმ ინტერვიუში მძიმე რეპრესიებითაც დაგვემუქრა.

დღეს ქვეყნისთვის საფრთხის შემცველია არაადეკვატური მილიარდერი, რომელსაც უზარმაზარი გავლენა აქვს საქართველოს ხელისუფლებაზე. ჩვენ გვინდა დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი და ამ მხარდაჭერით შექმნილი მოდელი, ე.წ. გერმანიის საარჩევნო მოდელი. ივანიშვილს კი თურმე საბჭოთა კავშირის მიერ აშენებული ბერლინის კედლის აქაური რკინის ხუხულა სდომებია.

***– ამ ფონზე პროცესი როგორ წარმოგიდგენიათ, მაშინ როდესაც პრემიერი და თავდაცვის მინისტრი გვეუბნებიან, რომ დესტრუქციული ძალაა ნაციონალური მოძრაობა და რომ არავის მისცემენ კანონის დარღვევის უფლებას. ხომ არ იწყება პოლიტიკური რეპრესიების ახალი ტალღა?***

– დიახ, ბიძინა ივანიშვილმა ხსენებულ ინტერვიუში, ფაქტობრივად, დააანონსა, რომ ზოგს წლობით მოუწევს ციხეში ჯდომა, ზოგს ადმინისტრაციული სასჯელით, ზოგი დაშავდაო და ა.შ. ბიძინა ივანიშვილმა თავის მუქარას მაგრად მოუჭიროს ხელი. მაგის მუქარის არავის ეშინია და, რაც უფრო მეტად აძვრება ხის კენწეროზე, მისთვის მით უფრო მძიმე იქნება მისი მდგომარეობა. მე მის ოჯახს ვურჩევდი, რომ მიხედონ ივანიშვილს, იმიტომ, რომ ეს კაცი აშკარად სამკურნალოა, ვხედავთ ამას.

მაგრამ მისი არაადეკვატურობა არის ქვეყნის პრობლემა. ისეთი მდგომარეობაა, რომ ეს სახადი უნდა მოვიხადოთ. ასეთი გვერგო და ჩვენი ვალი უნდა მოვიხადოთ პირნათლად. ყველაზე უნიჭო და აუტსაიდერია მათ შორის, ვინც კი ამ ქვეყნის ხელისუფალი ყოფილა ან სურვილი ჰქონია, რომ ყოფილიყო საქართველოს ხელისუფალი.

პოლიტიკა არ ისწავლება მილიონებით და არც მილიარდებით. მის მილიარდს ნებისმიერ ვალუტაში ნებისმიერი რაოდენობით დაამარცხებს მილიონი ხმა. ასე რომ, ბიძინას დამარცხება გარდაუვალია.

***– თქვენ რატომ არ ჩანხართ ისე აქტიურად საპროტესტო აქციებზე, როგორც ამას მოელის საზოგადოება? უფრო ჩანან ნაციონალური მოძრაობისა და „ევროპული საქართველოს“ ლიდერები. თქვენ რატომ ხართ უკანა პლანზე?***

– არა, უკანა პლანზე არ ვარ. უბრალოდ, ეს დღეები არ ვიყავი თბილისში და დღეს ჩამოვედი. რაც შეეხება რესპუბლიკურ პარტიას, ჩვენი პარტიის ორივე ხელმძღვანელი, ხათუნა სამნიძეც და თამარ კორძაიაც, სულ აქციებზე არიან. მოგეხსენებათ, როგორი სახალისო კადრები იყო იმის შესახებ, თუ როგორ მიიტანეს მათ აქციაზე შეშა.

რესურსს რაც შეეხება, ძირითადად პიკეტირების ეს რესურსი აქვს ნაციონალურ მოძრაობას და ასევე – „ევროპულ საქართველოს“. ამიტომ ისინი არიან უმთავრესად ჩართული ამ პროცესში. ჩვენ ვეთანხმებით ამ სტრატეგიაში და სოლიდარობას ვუცხადებთ.

***– არ ჩანს ისეთი მძლავრი პროტესტი ბოლო დღეებში, როგორც დასაწყისში იყო. ხომ არ არის საჭირო სხვა სტრატეგიისა თუ ტაქტიკის მიშველება?***

– სულ იქნება სიახლეები, იმიტომ, რომ ინტელექტუალური და კრეატიული უპირატესობა ოპოზიციის მხარეს არის, განსაკუთრებით კი პოლიტიკისაგან დამოუკიდებელი და პოლიტიკასთან მოთანამშრომლე ახალგაზრდების მხარეს. მხედველობაში მაქვს მოძრაობა „სირცხვილია“ და ასევე სხვა ორგანიზაციები.

***– დღევანდელ ახალგაზრდების აქტივობას როგორ აფასებთ? არის დღევანდელი თაობა წინა თაობებზე იმედისმომცემი?***

– რა თქმა უნდა, ასეა. დამოუკიდებელ საქართველოში ეს არის პირველი თავისუფალი თაობა, რომელიც გამოვიდა ასპარეზზე და ეს არის ლიდერი თაობა.

შესაბამისად, ცხადია, ეს არის ძალიან იმედისმომცემი თაობა.

# მარიამ ჯაში პარლამენტში ახალ ფრაქციას, „დამოუკიდებელ დეპუტატებს“, ქმნის



პარლამენტში ახალი ფრაქცია „დამოუკიდებელი დეპუტატები“ იქმნება. ფრაქციას 6 დეპუტატი ქმნის და მისი ხელმძღვანელი უმრავლესობიდან წასული მარიამ ჯაში იქნება.

ამის შესახებ ჟურნალისტებს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ლევან კობერიძემ განუცხადა. ფრაქციის შემადგენლობაში იქნებიან: მარიამ ჯაში, ლევან გოგიჩაიშვილი, გედევან ფოფხაძე, კობა ნარჩემაშვილი, ზვიად კვაჭანტირაძე და ლევან კობერიძე.

– ფრაქცია არ იქნება მიკერძოებული, გადახრილი არც ერთი პოლიტიკური ჯგუფის მხარეს, რომელიც დღეს არსებობს პარლამენტში ან პარლამენტს გარეთ, – განაცხადა ლევან კობერიძემ.

მისივე თქმით, ფრაქციასთან დაკავშირებით კონსულტაციები არ ჰქონიათ არც ეკა ბესელიასთან, არც ზაზა ხუციშვილთან.

– იმედი გვაქვს, ამ ფრაქციის შექმნა იქნება სტიმული სხვა დეპუტატებისთვის ფრაქციის შექმნის. ვისაც ექნება სურვილი ჩვენს ფრაქციასთან თანამშრომლობის, ჩვენ ღია ვართ, რომ მათთან კონსულტაციები ვაწარმოოთ, – განაცხადა ლევან კობერიძემ.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რამდენად იქნება ეს ფრაქცია დაკავშირებული გიორგი კვირიკაშვილთან, რაზეც ლევან კობერიძემ უპასუხა, რომ ფრაქციის შექმნა მის სახელს არ უკავშირდება.

ფრაქციის შექმნასთან დაკავშირებით განცხადება დეპუტატებმა უკვე ჩააბარეს პარლამენტის კანცელარიას.

# კარასინი: „ვაჟა გაფრინდაშვილი უახლოეს დღეებში სახლში იქნება“



პრაღის ფორმატში რუსეთის წარმომადგენელმა გრიგორი კარასინმა ზურაბ აბაშიძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ განხილვის ერთ-ერთი თემა ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის საკითხი იყო და მან იმედი გამოთქვა, რომ გაფრინდაშვილი მალე დაუბრუნდება ოჯახს.

– საუბრის დასაწყისში ზურაბ აბაშიძემ წამოჭრა ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილის საკითხი. ჩვენ საქმის კურსში ვიყავით. გვქონდა კონტაქტი როგორც ქართულ, ასევე ოსურ მხარესთან სხვადასხვა დონეზე. იმედი გვაქვს, ეს პრობლემა უახლოეს პერიოდში გადაიჭრება, მაგრამ, ამავდროულად, ჩვენი მხრიდან გაჟღერდა აზრი იმის თაობაზე, რომ მუდმივად უნდა ვმოქმედებდეთ ჟენევის დისკუსიის ჩარჩოებში. სხვადასხვა მექანიზმის ფარგლებში, რომლებიც არსებობს. უნდა ვაიძულოთ, იმუშაონ ინსტრუმენტებმა, ცხელმა ხაზმა. საჭიროა სოხუმსა და ცხინვალში, თბილისში ჟენევის დისკუსიის თანათავმჯდომარეების ვიზიტების უფრო მიზანმიმართულად გამოყენება.

თუ ეს ინსტრუმენტები იმუშავებენ, ჩვენ გარანტია გვექნება, რომ ასეთი დრამატული შემთხვევები აღარ განმეორდება. უნდა იურთიერთოს სხვადასხვა უწყებამ, მაგალითად, მე და ზურაბი ვურთიერთობთ, ვმსჯელობთ, გვაქვს კონტაქტი, საგარეო საქმეთა სამინისტროები მუშაობენ ერთმანეთთან, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ასეთი შემთხვევა აღარ უნდა განმეორდეს, ხოლო გაფრინდაშვილის პრობლემა, ვფიქრობ, უახლოეს მომავალში გადაიჭრება. ვფიქრობ, ის იქნება უახლოეს დღეებში სახლში, მაგრამ რადგანაც გაფრინდაშვილი იმყოფება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, ამაზე უნდა ჰკითხოთ მათ, ვინც იქ იღებს გადაწყვეტილებებს, თუმცა, იმედი მაქვს, ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ და გაფრინდაშვილი მალე დაუბრუნდება თავის ოჯახს. ამისთვის ვიყენებთ მთელ ჩვენს კონტაქტებს. მოდით, დაველოდოთ, – განაცხადა გრიგორი კარასინმა.

# „პარლამენტის საქმიანობის შეჩერებით ქვეყანა არ დაიქცევა“

## მანანა ნაჭყებია: „როცა პოლიტიკოსების არაპროფესიონალიზმზე საუბრობს, ივანიშვილი თალაკვაძეს, კობახიძესა და ოხანაშვილს გულისხმობს“

მარიამ მჭედლიშვილი

ოპოზიციური ერთობა აგრძელებს პიკეტსა და სხვა სახის პროტესტს. მიმდინარე მოვლენებს ეხმაურება მმართველი პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი. ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერ **მანანა ნაჭყებიას.**

***– ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედისათვის“ მიცემულ ინტერვიუში აღნიშნა, რომ დაპირება 2020 წლის არჩევნებისათვის პროპორციული მოდელის შემოღების შესახებ იყო ცალმხრივი დაპირება და არა კონტრაქტი ამომრჩეველთან. არადა, ამ პირობის დარღვევამ გამოიწვია საპროტესტო აქციები.***

– ამ ინტერვიუს დროს ბიძინა ივანიშვილმა დაამტკიცა, რომ ან სრულიად დისტანცირებულია მიმდინარე პროცესებისა და საზოგადოებისაგან, ან არაადეკვატურად აფასებს ვითარებას.

მისი სიტყვებიდან გამოდის, რომ ხელისუფლებას დაპირება არ გაუცია. ეტყობა, ის არაფრად მიიჩნევს იმას, რაც ხდებოდა – თვითონ ჩაატარა ბრიფინგი, სადაც გაახმოვანა ეს ინიციატივა, ხოლო საერთაშორისო ტრიბუნიდან ამაზე ისაუბრა ქვეყნის პრეზიდენტმა და ეს წინადადება დაუკავშირა დემოკრატიზაციას.

ამ დაპირების უკან წაღებით ივანიშვილმა და მმართველმა პარტიამ საკუთარი რეპუტაცია დააზიანა. პოლიტიკას რომ თავი დავანებოთ, ამგვარი საქციელი ჩვეულებრივ ყოფაშიც სიტყვის გატეხას ნიშნავს. დადებითად ახასიათებენ იმ ადამიანს, რომელიც სანდო და ერთგულია და თავის სიტყვას არ გადადის.

***– ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს პოლიტიკოსებიც შეაფასა. მისი აზრით, პოლიტიკაში მოდიან ყველაზე წარუმატებელი და არაფრის მკეთებელი ადამიანები. მისი თქმით, პოლიტიკაში პროფესიონალების დეფიციტია.***

– როცა პოლიტიკოსების არაპროფესიონალიზმზე საუბრობს, ივანიშვილი სინამდვილეში გულისხმობს თავის თალაკვაძეს, თავის კობახიძესა და თავის ოხანაშვილს. პოლიტიკაში გამოცდილი პროფესიონალების ნაკლებობა არ არის. პოლიტიკური პარტიებიდან ზოგი 30 წლისაა, ზოგი – 20 და 15 წლის.

ნამდვილი პოლიტიკოსი პარტიაში ყალიბდება. „ქართულ ოცნებას“ გამოცდილი პოლიტიკოსები, ფაქტობრივად, არ ჰყავს. ყველა პროფესიის ადამიანს პატივს ვცემ, მაგრამ ყველა პოლიტიკაში ვერ გამოდგება. ივანიშვილმა პარლამენტსა და მთლიანად ხელისუფლებაში მოიყვანა საკუთარი კომპანიის დაცვის წევრები, ბუღალტრები და ა.შ. ჩემს ნათქვამს დაადასტურებს დებატები. საკმარისია, გაიმართოს დებატი, სადაც „ქართული ოცნების“ გამოუცდელ წევრს წინ დაუჯდება ნებისმიერი გამოცდილი პოლიტიკოსი, მმართველი პარტია ამ პაექრობას დიდი ანგარიშით წააგებს.

„ქართული ოცნება“ ბოლო დროს დატოვა იმ ხალხმა, რომელსაც შეეძლო საზღვარგარეთ საქართველოს კარგად წარმოჩენა. ამ ჯგუფს „საგურამოს დაჯგუფებას“ უწოდებენ.

***– ზოგადად, მმართველი პარტიიდან პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების მიმართ ნეგატივი ახალი არ არის. ეს განწყობა 2012 წლიდან მომდინარეობს. ბოლო დროს ამას დაემატა მანევრები პროპორციული მოდელის წინააღმდეგ.***

– ბუნებრივია. ივანიშვილი პოლიტიკოსები არ სჭირდება. თავის გარემოცვაშიც ურჩევნია, საკუთარი ბანკის დაცვა და პირადი ექიმი ჰყავდეს. კობახიძეს უყვარს სიტყვა „წანამძღვრები“. მას თუ დავესესხები, ავხსნი, რა წანამძღვრები აქვს დღევანდელ დაძაბულობას.

ივანიშვილმა 24 ივნისს გამოაცხადა თავისი დაპირება პროპორციული არჩევნებისა და ბუნებრივი ბარიერის თაობაზე. მას შემდეგ იმ დღემდე, სანამ ამ დაპირებას უკან წაიღებდა, ოპოზიციის მიტინგი ან პიკეტი სადმე გინახავთ? ჩვენ, პარტიები, უკვე არჩევნებისთვის ვემზადებოდით.



აქციების ახალი ტალღა დაიწყო მას შემდეგ, როცა მოგვატყუეს. ივანიშვილმა შემოგვთავაზა ეს თამაში. ყინვაში აქციებში მონაწილეობა და ცივი წყლის ჭავლის ქვეშ დგომა არავის სიამოვნებს.

***– მმართველი პარტია არც ე.წ. გერმანულ მოდელს თანხმდება.***

– ამ მოდელს ვუწოდეთ ქართულ-გერმანული. ამ საკითხზე გაიმართა დებატი პარლამენტის ორ ყოფილ თავმჯდომარეს შორის. დავით უსუფაშვილი გასაგებად განმარტავდა, რომ ეს არის გამოსავალი შექმნილი კრიზისიდან. ირაკლი კობახიძე თავის პოზიციაზე იდგა.

ამ კამათში ნათლად გამოჩნდა პოლიტიკურად გამოცდილი ლიდერის უპირატესობა უმწიფარ მეტოქესთან. კობახიძე პარლამენტის თავმჯდომარეც იყო, კონსტიტუციონალისტიც არის, მაგრამ პოლიტიკურად ვერ მომწიფდა. მათი შემხედვარე მახსენდებოდა ცნობილი იურისტის, ჯონი ხეცურიანის სიტყვები. 2010 წლის კონსტიტუციურ შესწორებებზე მუშაობისას ის ამბობდა, რომ ქვეყნის კონსტიტუცია არის კონსენსუსი პოლიტიკურ ძალებს შორის.

***– ოპოზიციას ბრალად გდებენ პარლამენტის მუშაობის შეფერხებას.***

– პიკეტირება მშვიდობიანი პროტესტის სახეა. რაც შეეხება ამ პარლამენტის საქმიანობის შეჩერებას, რომელსაც დეპუტატების ნაწილი ბოიკოტს უცხადებს, არა მგონია, რომ ამით ქვეყანა დაიქცეს. ეს დეპუტატები ქვეყნისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებებს არ იღებენ.

***– ევროპარლამენტის სესიაზე საქართველოში მიმდინარე მოვლენების გამო შეშფოთება გამოთქვა ლიტველმა ევროდეპუტატმა ანდრიუს კუბილიუსმა. მისი აზრით, ექმნება საშიშროება ქვეყნის დემოკრატიულ მომავალს და, შესაბამისად, ევროინტეგრაციას.***

– მე მას ვეთანხმები. მოვლენები ვითარდება ისე, როგორც რუსეთს აწყობს. არ მინდა, ვინმეს რამე დავაბრალო, მაგრამ ალბათ ეს შედის ივანიშვილის ინტერესშიც.

ევროპარლამენტიდან მძიმე გზავნილები მოვისმინეთ. გული მწყდება ერთ რამეზე – საქართველო სწორედ ამ დროს გახდა ევროპის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა. ეს სასიხარულო მოვლენაა, მაგრამ 6-თვიანი თავმჯდომარეობა დაემთხვა იმ დროს, როცა ქვეყნის დემოკრატია რეგრესს განიცდის.

ეს ხდება ხელისუფლების არასწორი ნაბიჯების გამო. ხელისუფლება, რომელიც აბრკოლებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას, უნდა წავიდეს!

# მამუკა ტუსკაძე: „დაბოქლომება შავი მაგიის ნაწილია“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პოლიტიკური მოძრაობა „სოციალური სამართლიანობისთვის“ ლიდერი, უფლებადამცველი მამუკა ტუსკაძე პასუხობს.**



***– ბატონო მამუკა, ცოტა ხნის წინ მითხარით, ახალ წლამდე ბევრი რამ მოხდება, კალაძე „ოცნების“ გუნდს გამოეყოფაო.***

– კიდევ ბევრი რამ მოხდება. რეალურად, პარლამენტში სწორედ კალაძის გუნდი დარჩა.

***– ბოლო დღეებში ავრცელებთ მოწოდებას „დაიცავი კონსტიტუცია“. რას გულისხმობთ კონსტიტუციის დაცვაში?***

– კონსტიტუციის დაცვისკენ მოვუწოდებ და ცოტა ხანში აქციაც მექნება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მერე აუცილებლად ჩავერთვები, ამ ლოზუნგით აქციებსაც ვაანონსებ. კონსტიტუცია რამდენიმე თვის წინ მივიღეთ, მართლა კარგი კონსტიტუცია, რომელმაც აბსოლუტურად შეცვალა საბჭოური კონსტიტუცია. გადავედით ევროპული ყაიდის თანამედროვე ევროპულ კონსტიტუციაზე, თან ევროპულ და მსოფლიო თანამეგობრობასთან შეთანხმებული კონსტიტუციაა.

***– კი მაგრამ, გარკვეული ოპოზიციური სპექტრი 2020 წლისთვის პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას მოითხოვს?***

– კონსტიტუციაში უკვე წერია, რომ საქართველო მზად იქნება, არჩევნების პროპორციულ სისტემაზე გადავიდეს 2024 წლიდან. მაშინაც იყო საუბარი, რომ 2020 წლიდანაც შეიძლებოდა ამის გაკეთება, მაგრამ იმ დროს ჩვენი ქვეყანა ამისთვის მზად არ იყო. 2020 წელს პოლიტიკურ ორგანიზაციებს მიეცემოდათ საკმაოდ კარგი შეღავათი, გაზრდილიყვნენ და ძლიერ, წარმატებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებად ჩამოყალიბებულიყვნენ. ერთჯერადად 2020 წლის ოქტომბრის არჩევნებზე ბლოკები იქნებოდა დაშვებული. შეიძლებოდა, სუსტი პარტიები გაერთიანებულიყვნენ და ერთად შეეძლებოდათ კვალიფიციური პარტიის სტატუსის მიღება. ჩვენ ამ შემთხვევაში კონსტიტუციას ვარღვევთ.

***– კი მაგრამ, ბიძინა ივანიშვილის იდეა ხომ იყო კონსტიტუციური ცვლილების განხორციელება და პროპორციული არჩევნების 2020 წლისთვის გადმოტანა. მაშინ რა ხდებოდა?***

– ბიძინა ივანიშვილმა თავისი იდეა რომც გაიტანოს, მაშინაც ირღვევა კონსტიტუცია. კონსტიტუცია ირღვევა იმ შემთხვევაშიც, თუ მანამდე პროპორციული არჩევნები ჩატარდება. ერთხელ და სამუდამოდ მივეჩვიოთ, კანონი, რომელიც შევიმუშავეთ, ჩვენვე არ დავარღვიოთ.

***– თუმცა მახსოვს, თქვენც რაღაც იმედებს უკავშირებდით 2020 წლის პროპორციულ არჩევნებსა და ნულოვან ბარიერს.***

– კი, მაგრამ ბლოკები არ იქნებაო. ნულოვანი ბარიერი ძალიან კარგი იყო ახალი პარტიებისთვის, დაბალი რეიტინგის პარტიებისთვის, მაგრამ 3%-იან ბარიერსაც არა უშავს, თუ ბლოკები დაშვებულია. ასეთი რამდენიმე პარტია ერთად გაერთიანდება და 3%-ის აღებას შეძლებს. 6 პარტია საკმარისია ფრაქციის შესაქმნელად. 6 პარტია აუცილებლად შეძლებს 3%-იანი ბარიერის გადალახვას. საქართველოს შემდგომ არჩევნებში 6 კვალიფიციური პარტია ეყოლება. ამიტომ ნულოვანი თანასწორია 3%-ის, ოღონდ ბლოკების პირობებით, რაც კონსტიტუციაში წერია.

***– ანუ თქვენთვის არსებული პირობებიც მისაღებია?***

– მისაღებია 3%, ბლოკების პირობებით, ეს იგივეა, რაც ნულოვანის პირობებში იქნებოდა.

***– გინდათ თქვათ, რომ არსებული საარჩევნო კანონის პირობებშიც შეიძლება პარტიები გაიზარდონ და სასურველ შედეგს მიაღწიონ?***

– კარგი იქნებოდა, კონსტიტუციის შეცვლაზე კი არ გველაპარაკა, არამედ საარჩევნო კანონი შეგვეცვალა. საარჩევნო კანონის შეცვლა ძალიან მარტივად შეიძლება. ეს არის ჩვეულებრივი ორგანული კანონი და პარლამენტს დაჩქარებული წესითაც შეუძლია იმუშაონ და სწრაფად მიიღონ. მას არ სჭირდება სახალხო განხილვა და მსგავსი პროცედურები, რაც კონსტიტუციას სჭირდება. ამიტომ სასურველია, საარჩევნო კოდექსი ძირითადი მუხლები შეიცვალოს.

***– პროპორციული არჩევნების შესახებ მთელი ოპოზიციური სპექტრის მოთხოვნას არ ემხრობით?***

– არა.

***– ოპოზიცია აცხადებს, ბიძინა ივანიშვილმა გადაგვაგდო, ამიტომ ახლა რიგგარეშე პროპორციული არჩევნების ჩატარებას ვითხოვთო.***

– არა. ოპოზიციას შეიძლება უნდა რიგგარეშე პროპორციული არჩევნები, მაგრამ აქ საუბარი არ არის იმაზე, ვის რა უნდა.

***– აბა რაზეა საუბარი?***

– აქ საუბარია იმაზე, რომ 3%-იანი ბარიერი და ბლოკები იმავე შესაძლებლობებს იძლევა. უახლოეს ხანში მე გამოვალ ინიციატივით კონსტიტუციის დაცვაზე. კაცურ სიტყვაზე მეტია დაწერილი და უკვე ძალაში შესული კონსტიტუცია, რასაც უნდა ვითვალისწინებდეთ. აქ სიტყვა მეორე პლანზეა. რა თქვა ბიძინა ივანიშვილმა, არაფერს ნიშნავს მიღებულ კონსტიტუციასთან შედარებით.

ვერ ვიტყვით, რომ კონსტიტუცია არის ძველი და არ არის მორგებული 21 საუკუნის გამოწვევებზე. მორგებულიც არის და ძალიან კარგი კონსტიტუცია გვაქვს. კონსტიტუციაში მუდმივად არ უნდა ხდებოდეს ცვლილებების შეტანა. პარლამენტს მოვუწოდებ, კონსტიტუციაში ცვლილებები არავითარ შემთხვევაში არ შეიტანოს. დავემორჩილოთ იმ კონსტიტუციას, როგორადაც არის მიღებული.

***– თუ პარლამენტი 2020 წლისთვის პროპორციულ სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილებას მიიღებდა, კონსტიტუციის დაუცველობა იქნებოდა?***

– დაუცველობა იქნებოდა. არ შეიძლება, ყოველ კვირას რაღაც გაგონდებოდეს და კონსტიტუცია ცვალო. ეს არის უზენაესი კანონი. 200 წელზე მეტია, რაც აშშ-მ კონსტიტუცია მიიღო და სულ 13 შესწორება აქვთ შეტანილი.

***– მიუხედავად ამისა, ოპოზიცია ქუჩის აქციებს მართავს. მათ ჰყავთ თავიანთი მხარდამჭერები. ამ პროცესში ადამიანის უფლებების დარღვევებს თუ ხედავთ?***

– პირველი აქცია მართლა ჩვეულებრივად დაიშალა. მე მიმაჩნია, რომ აქციები არ უნდა იშლებოდეს. აქციას დაშლა არ სჭირდება. ისინი უნდა იყვნენ და ატარებდნენ აქციას. პოლიციამ წესრიგი უნდა დაიცვას, თუ გადამეტებას ექნება ადგილი.

***– გადამეტებად რა მიგაჩნიათ?***

– პარლამენტში ძალადობრივი შეჭრის მცდელობა, როგორიც იყო 19-20 ივნისს, რომელიც დასაშლელი იყო, თუმცა იმ ფორმატში არა, როგორც მოხდა. ისინი ცდილობდნენ, ქვეყნის მთავარი კონსტიტუციური ორგანო შტურმით აეღოთ. ორი დღის წინანდელი აქციის დაშლა საერთოდ არ იყო საჭირო.

***– პარლამენტის შესასვლელების პიკეტირება ხდებოდა და დეპუტატებს პარლამენტში არ უშვებდნენ.***

– პიკეტირების უფლება აქვთ. მოახდინონ პიკეტირება, შეეშვან, წყლის ჭავლი არ არის საჭირო. მე პირადად გამომიცდია წყლის ჭავლები და რეზინის ტყვიები და, ვფიქრობ, არ არის საჭირო მისი გამოყენება. გაივლის 10 წუთი და პიკეტირება დასრულდება, ფორმალური აქცია პრეფორმანსია. ვაცალოთ ამ ხალხს აქცია-პრეფორმანსების მოწყობა.

***– ამბობენ, რომ პარლამენტის სხდომების გამართვას ეშლება ხელი, რადგან დეპუტატებს არ უშვებენ.***

– პარლამენტს ოთხი შესასვლელი აქვს, ოპოზიციას კი იმდენი ხალხი არ ჰყავს, ოთხივე შესასვლელი ერთდროულად დაკეტონ. მეეჭვება, პარლამენტს მუშაობაში ხელი შეეშალოს, რადგან ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების რაოდენობა იმდენად მცირეა, ერთდროულად ოთხივე შესასვლელის პიკეტირებას ვერ ახერხებენ, რაც ტყუილია, მოღალატე დეპუტატები არიან, რომლებიც აცხადებენ, თითქოს პარლამენტში ვერ შედიან პიკეტირების გამო, სინამდვილეში ბევრი მათგანი არ მიდის პარლამენტში, სამსახურამდე და პიკეტირებას აბრალებს.

***– ბოქლომების აქცია მოგეწონათ?***

– ზოგადად ბოქლომი მაგიურია.

***– ვინც ბოქლომს კეტავს, მისი ბედიც იკეტება. იცით, რა არის საჭირო მისი ბედის გასახსნელად? ვინც ბოქლომი დაკეტა, ის თამარ მეფის დროინდელ თაღოვან ხიდზე უნდა გავიდეს და გახსნილი ბოქლომი ზურგს უკან, წყალში გადააგდოს.***

– ეს ერთ-ერთი ვარიანტია. სხვა ვარიანტებიც არსებობს. სხვა ხერხებით ვერ შეძლეს ძალაუფლების უკან დაბრუნება. დარწმუნებული ვარ, ვერც შეძლებენ. ბოქლომები მართლა შავი მაგიის ნაწილია. უტყუარი ინფორმაციაა. მაგიური დაპირებითა და შელოცვებით აპირებენ ხელისუფლების უკან დაბრუნებას. არ ვიცი, რამდენად გამოუვათ, მაგრამ ბოქლომებით ვერაფერს მიაღწევენ. ამიტომ მაგიას აქვს მეორე მხარეც. იმედი მაქვს, ხელისუფლებაში არიან ძალები, რომლებიც ამ მაგიას გაანეიტრალებენ.

# თენგო ქუთელია: „სპეცრაზმელებმა კასტეტი დამარტყეს და შუბლი გამიტეხეს“

პრესა.ჯიმ იპოვა ადამიანი, რომელსაც 25 ნოემბრის აქციის დარბევის დროს სპეცრაზმელები სასტიკად გაუსწორდნენ.

აფხაზეთიდან დევნილი თავად ყვება, თუ როგორ შეათრიეს ის სპეცრაზმელებმა და როგორ მიაყენეს ჭრილობები კასტეტით თავის არეში.



**თენგო ქუთელია:**

– 25 ნოემბერს პარლამენტის წინ ვიდექი, დარბევას როდესაც გეგმავდნენ. ხელები აწეული გვქონდა ყველას და ვთხოვდით რობოკოპებს, რომ ძალა არ გამოეყენებინათ.

ჩემ გვერდით მოხუცი კაცი იდგა ხელჯოხით, შუშ პირი იყო. ჭყლეტაში მოყვა ეს კაცი, დაეცა და მის წამოყენებას ვცდილობდი, თან ვთხოვდი სპეცრაზმელებს, რომ ფეხი არ დაებიჯებინათ მისთვის და არ გადაევლოთ ზედ.

წყლის ჭავლში მოვახერხეთ და ეს კაცი წამოვაყენეთ. უცებ მარცხენა მხრიდან ორმა სპეცრაზმელმა ხელი მტაცა და შიგნით შემაგდო, სადაც მწკრივად ე.წ. რობოკოპები იყვნენ.

სპეცრაზმელებმა ვერცხლისფერი კასტეტი დამარტყეს და შუბლი გამიტეხეს, 8 ნაკერი მადევს.

***– მშვიდობიან მოქალაქეს ორი სპეცრაზმელი ფიზიკურად გაგისწორდათ.***

– დიახ, ასე იყო და, შესაძლოა, უფრო მეტნიც იყვნენ. ჩვენ მათ მხოლოდ იმას ვთხოვდით, რომ ხელით არ შეგვხებოდნენ და პროტესტის საშუალება მოეცათ.

***– კასტეტი დაგარტყეს და ამის შემდეგ რა მოხდა, დახმარება ვინ აღმოგიჩინათ?***

– ამ დარტყმის შემდეგ სპეცდანიშნულების პირები ცდილობდნენ, სხვა მხარეს გადავეყვანე, ალბათ ჩემი მოშორება, გადამალვა უნდოდათ. გონება არ დამიკარგავს, მათი საუბარიც კი მესმოდა, ერთმანეთს ეუბნებოდნენ: ეს რა ქენი, როგორ დაარტყიო.

რაღაც მანძილი გავიარეთ და შემთხვევით, ვიღაც აქციის მონაწილე შეგვხვდა და სწორედ მან აღმომიჩინა დახმარება, მიმიყვანა სასწრაფო დახმარების მანქანასთან და გადამარჩინა, მადლობის მეტი არაფერი მეთქმის მისთვის!

***– როგორია თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა ახლა?***

– გუშინ გამომწერეს საავადმყოფოდან. ინგოროყვას კლინიკაში ვიყავი ერთი ღამე. თვალზე სისხლჩაქცევები მაქვს და შუბლის მიდამოში 8 ნაკერი დამადეს.

***– გააგრძელებთ თუ არა საპროტესტო აქციებზე სიარულს?***

– მე ვხედავ უსამართლობას ხელისუფლების მხრიდან და ამით ვერ დამაშინებენ! სიმართლის წინააღმდეგ მუდმივად ვიბრძოლებ და კვლავ გავალ ქუჩაში.

# „ჩემი დისშვილის დაღუპვის შესახებ ინტერნეტით გავიგეთ“

## რა მოხდა კუმისში



ქობულეთში მცხოვრები რომან ცეცხლაძე აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს უყვება, რომ კუმისის ტბასთან მისი დისშვილის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია შემთხვევით, ინტერნეტიდან გაიგო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ ფაქტის შესახებ ოჯახისთვის არ უცნობებია.

ოჯახი საგამოძიებო უწყებას უყურადღებობაში ადანაშაულებს და ამბობს, რომ კითხვები გაუჩნდათ.

– ჩემი დისშვილი წელიწადზე მეტია, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობს, იქით არის. 22 ნოემბერს ინტერნეტში სურათი იპოვა ჩემმა შვილმა, სადაც ეწერა, რომ ტრაგიკულად დაიღუპა კუმისში.

მალევე ეს ფოტო გაქრა ინტერნეტიდან, ჩვენ დავიწყეთ ძიება. დავრეკეთ 112-შიც და არაფერი იცოდნენ, შემდეგ ჩავედით ადგილზე, ვიცით, რომ სტუმრად იყო მეგობართან, მეტი არაფერი ვიცით, არც მასპინძელი შეგვხმიანებია ამ საშინელი ტრაგედიის შემდეგ, – ყვება რომან ცეცხლაძე.

მისი ინფორმაციით, ხის სახლი, სადაც გვამი იპოვეს, სრულად დამწვარია, გარდაცვლილთან ერთად დაიწვა მასპინძლის ორი ძაღლი.

– ძალიან საეჭვოა, ძაღლები იყვნენ სახლში, ყეფას ხომ ატეხდნენ, რით ვერ გააღვიძებდნენ გარდაცვლილს?! ბულტერიერები იყვნენ და კედელი როგორ ვერ გაანგრიეს?! ან ამდენი ხანი როგორ არ მოგვაწოდეს ოჯახს ინფორმაცია პოლიციიდან, ძალიან დიდი უყურადღებობა და უპასუხისმგებლობაა, ჩემი ოჯახის წევრის გარდაცვალებას ვიგებ ინტერნეტით, თანაც სამი დღის შემდეგ,

ჯერ ფოტო იყო, შემდეგ გამომძიებლის ნომრები გადმოგვიგზავნეს და ჩვენ დავუკავშირდით. გვითხრეს, ჩამოდით გარდაბანში და იქ შეგატყობინებთ ამბავსო.

ცხედარი ქობულეთში 26 ნოემბერს, ღამით გადაასვენეს. ოჯახში ამბობენ, რომ გამომძიებლის მიერ მიწოდებული ვერსია, რომ კვამლით გაიგუდა და ხანძრის შედეგად გარდაიცვალა, მათთვის არ არის სანდო და მკვლელობის ვერსიასაც განიხილავენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ამბობენ, რომ წინასწარი ვერსიით აღნიშნული პირი ხანძრის შედეგად დაიღუპა.

საქმეზე გამოძიება 188-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გაუფრთხილებლობით სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.

# წალენჯიხაში სატვირთო ავტომანქანა ხრამში გადაიჩეხა

## 1 ადამიანი დაიღუპა, 4 დაშავდა

წალენჯიხის რაიონის სოფელ ფოცხოეწერში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 1 ადამიანი ემსხვერპლა, 4 კი დაშავდა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ წალენჯიხის მერმა ბესიკ ფარცვანიამ განუცხადა.

მისივე თქმით, გარდაცვლილი შუახნის მამაკაცია.

სატვირთო ავტომანქანა ხრამში გადაიჩეხა. მანქანა, რომელიც მუჟავის ტყიდან გამოდიოდა, ხის მორებით იყო დატვირთული.

რაც შეეხება დაშავებულებს, მერის ინ-




ფორმაციით, ერთი მათგანი ზუგდიდის საავადმყოფოშია გადაყვანილი, ხოლო დანარჩენებს სამედიცინო დახმარება არ დასჭირდათ.

ახალგაზრდა მამაკაცს, რომელიც ზუგდიდის საავადმყოფოშია მოთავსებული, შესაბამისი კვლევები ჩაუტარდა.

მედიკოსების ცნობით, მის სიცოცხლეს ამ ეტაპზე საფრთხე არ ემუქრება.

# ზუგდიდში მანქანა ჭიშკარს შეეჯახა

## 1 ადამიანი დაიღუპა

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭითაწყარში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სოფლის რწმუნებულმა ბადრი დარასელიამ განუცხადა, გარდაცვლილი ჭითაწყარის მკვიდრი 45 წლამდე მამაკაცია.

მისივე ინფორმაციით, ავტომობილი სავალი ნაწილიდან გადავიდა და ჭიშკარს შეეჯახა, რის შედეგადაც აალდა. ავტომობილში 1 ადამიანი იმყოფებოდა, რომელიც ადგილზე დაიღუპა.

შს სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის




უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# პრაღაში გენერალ ვლასოვის ძეგლი აღიმართება



ჩეხეთის დედაქალაქში ყოფილი საბჭოთა გენერლის ანდრეი ვლასოვის ძეგლი აღიმართება.

მეორე მსოფლიო ომის დროს ვლასოვი გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს. ყოფილი საბჭოთა ტყვეებისგან ვლასოვმა რუსული განმათავისუფლებელი არმია (როა) შექმნა. ის ჰიტლერელებთან ერთად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იბრძოდა. 1943 წლისთვის როა-ს წევრთა ოდენობამ 900.000 ჯარისკაცს მიაღწია.

1945 წელს ჩეხეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული ვლასოველები გერმანელთა წინააღმდეგ აჯანყდნენ. პრაღაც გერმანელებისგან სწორედ როა-მ გაათავისუფლა.

თავად ვლასოვი ომის შემდეგ საზღვარგარეთ გაიქცა. მოკავშირეებმა ის საბჭოთა კავშირს გადასცეს. ვლასოვი სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა. გენერალს ჩამოხრჩობა მიუსაჯეს.

პრაღის მერმა განაცხადა, რომ პრაღა არა წითელმა არმიამ, არამედ ვლასოველებმა გაათავისუფლეს.

– შესაბამისად, გენერალი ძეგლის დადგმას იმსახურებს, – თქვა მერმა.

ვლადიმერ პუტინმა პრაღის მერს ოფიციალური წერილი გაუგზავნა. რუსეთის პრეზიდენტმა ვლასოვისთვის ძეგლის დადგმის გამო პროტესტი გამოთქვა.

# ტრამპმა დემოკრატებს შეუტია



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ფლორიდაში ჩავიდა. მიტინგზე გამოსვლისას მან განაცხადა, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული გამოძიება და იმპიჩმენტის გამოცხადების მცდელობა ამერიკის პრესტიჟს ვნებს.

– მეტიც, ამის შედეგად ჩვენი ერი იხლიჩება, – თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტმა კვლავ გაიმეორა, რომ უკრაინის მიმართ არავითარი ზეწოლა არ განუხორციელებია. პირიქით, მისი პრეზიდენტობის დროს უკრაინელებს ქმედითი დახმარება გაეწიათ.

– ეს მომავალშიც გაგრძელდება, – თქვა ტრამპმა.

# აზერბაიჯანში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება

აზერბაიჯანული მედიის ცნობით, აზერბაიჯანის საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე მილი მეჯლისის დათხოვნის გადაწყვეტილება მიიღეს. მათი ინიციატივით, მილი მეჯლისში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს.

როგორც აზერბაიჯანული გამოცემები იტყობინება, აღნიშნული გადაწყვეტილება იმით აიხსნება, რომ პარლამენტის ამჟამინდელი შემადგენლობა ვერ პასუხობს სახელმწიფო მეთაურის მიერ გატარებულ პოლიტიკას და ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს ფეხს ვერ უწყობს.

აღნიშნულ ინიციატივას მილი მეჯლისი დღეს, 29 ნოემბერს, განიხილავს.

სავარაუდოდ, დღესვე აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს ვადამდელი არჩევნების დანიშვნის თაობაზე მიმართავენ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ქალი ლატარიის 26 წლის განმავლობაში თამაშის შემდეგ გამდიდრდა

ქალმა ლატარიაში ჯეკპოტი პირველი მოგებიდან 26 წლის შემდეგ იმავე ნომრებით მოხსნა.

1993 წელს ამერიკის მერილენდის შტატის მცხოვრებმა ქალბატონმა სახელმწიფო ლატარიაში ბონუს მატჩ 5-ში 50 ათასი დოლარი მოიგო. მას შემდეგ ის ყოველ ორ კვირაში ერთხელ ყიდულობდა ბილეთებს. გასულ კვირას ქალმა გადაწყვიტა, კიდევ ერთხელ ეცადა ბედი, იმავე ფირმის ლატარიის ბილეთი იყიდა და იგივე ციფრები გამოიყენა, რომლითაც 26 წლის წინ გახდა გამარჯვებული. ის იყენებდა დაბადების დღეებისა და სხვა მნიშვნელოვანი თარიღების რიცხვებს და ამჯერადაც მისმა მოგებამ 50 ათასი დოლარი შეადგინა.

– 15-ჯერ მაინც გადავამოწმე გაზეთში დაბეჭდილი გათამაშების გამარჯვებული რიცხვები, სანამ საკუთარ თვალებს დავუჯერებდი, – განაცხადა გამარჯვებულმა ქალბატონმა.

მისი აღიარებით, მოგებული თანხის ნაწილით ანგარიშების გადახდას აპირებს, ხოლო დანარჩენი თანხით პარიზში დაისვენებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# დავით ღვინიანიძე საქართველოში კულტურულ ცენტრს გახსნის

ოპერის მომღერალი, ბარიტონი დავით ღვინიანიძე უკვე 3 წელია, ამერიკაში ცხოვრობს და მოღვაწეობს და ამ პერიოდში არაერთი წარმატებული პროექტი განახორციელა.

მან დააარსა საქველმოქმედო ფონდი „მსოფლიო ტალანტები“, ატარებს კონკურსებს და გამარჯვებულებს აძლევს შანსს, კარნეგი ჰოლის სცენაზე იმღეროს. გამარჯვებულთა შორის ერთ-ერთია ალექსანდრე ზაზარაშვილი, რომელსაც უკვე მთელი მსოფლიო იცნობს.

„ახალი თაობა“ გთავაზობთ ინტერვიუს ბატონ დავით ღვინიანიძესთან.

**დავით ღვინიანიძე, ბარიტონი:**

– ჩემი ფონდი 2002 წლის 6 დეკემბრიდან არსებობს. მოსკოვში ჩამოვაყალიბე, რადგან საოპერო თეატრში იქ ვიყავი სოლისტი და ვმუშაობდი. ჩვენ საზოგადოებაში ვახდენთ კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციასა და ინტეგრაციას, ვატარებთ კონკურსებს, ფესტივალებს, გალაკონცერტებს მსოფლიო მომღერლების მონაწილეობით.



რუსეთიდან ამერიკაში გადასვლა რომ გადავწყვიტე, არ იყო იოლი ნულიდან დაწყება, მაგრამ პირველი გასტროლით ამერიკამ მომცა მწვანე ბარათი, ჩვენი ემიგრანტებივით არ მომიწია ათასგვარი სირთულეების გადალახვა. 2008 წლიდან მწვანე ბარათი მაქვს, დებიუტი კარნეგი ჰოლში 2009 წელს მქონდა.

***– რუსეთში ფონდი გააუქმეთ?***

– მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს დავტოვე რუსეთი, ჩემი ფონდი იქ მაინც არსებობს და ჩემ გარეშე იმართება ღონისძიებები.

***– რა მოგცათ ამერიკამ?***

– 3 წელია, რაც აქ ვარ და მხოლოდ მადლობელი ვარ ამ ქვეყნისა და ხალხის, რადგან ეს არის ნამდვილად ოცნებების ასრულების ქვეყანა.

***– რით არის გამორჩეული თქვენი ფონდის მიერ ორგანიზებული პროექტები?***

– მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მომღერლები არიან ჩართული ჩვენს ღონისძიებებში. ფონდის ვოკალურ კონკურსში გამარჯვებულები მონაწილეობენ გალაკონცერტში. 100-ზე მეტი მსოფლიო დონის მომღერალი მონაწილეობს, უამრავი სააგენტოა ჟიურიში და დიდი ინტერესია ამ კონკურსის მიმართ პრესისგან მონაწილეებისა და ჟიურისადმი. ჩვენთან ფულადი პრემია კი არ არის, არამედ – კონტრაქტი და რეალური სამუშაო. ამერიკული პრესა წერს, რომ ყველაზე სინდისიერი და საუკეთესო კონკურსია ამერიკაში. წარმატებაა ისიც, რომ ამ 3 წელიწადში ალბათ სიზმარშიც კი ვერ ვიოცნებებდი, ყოფილიყო ჩემი სახელობის კულტურის ცენტრი ფილადელფიაში. აქ ბევრი საინტერესო შეხვედრა, კონცერტები, კონკურსებია, ნაციონალური კულტურის საღამოები იმართება. მრავალმხრივი და საინტერესო ღონისძიებებია.

***– უახლესი ღონისძიებები როდის გაქვთ?***

– 19 და 22 დეკემბერს მეორედ ჩატარდება კარნეგი ჰოლში ჩვენი ღონისძიება. თვითონ მოგვცეს უფლება, ფონდ „მსოფლიოს ტალანტების“ მუსიკალური ფესტივალი კარნეგი ჰოლში ჩაგვეტარებინა. წელს ამ ფესტივალის ეგიდით 2 პროექტი იქნება, ცნობილი სოპრანო აპრილე მილო მონაწილეობს, ჩემთვის უსაყვარელი მომღერალია მარია კალასის შემდეგ. მომავალ წელს კი უფრო მეტ ღონისძიებას დავგეგმავთ.

ასეთი ცენტრები სულ მალე გაიხსნება სხვადასხვა ქალაქში – ნიუ იორკში, ნიუ ჯერსიში...

რაც არ უნდა გავაკეთო მსოფლიოში, ჩემი სული, გული მომართულია საქართველოსკენ. ამ ქვეყანამ მაჩუქა ყველაფერი, პირველ რიგში ის, რომ ვარ ქართველი და მინდა, დივიდენდები დავაბრუნო, რომ საქართველო იყოს უფრო მეტად წარმატებული. მანდ რომ მეცხოვრა, ალბათ სიკეთეს ვერ გავუკეთებდი ჩვენს ქვეყანას. შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, ნათქვამია. ეს ყველგან ასეა, ამერიკის გარდა, მართლა საოცარი ქვეყანაა, მართლა ოცნებების ქვეყანაა. აქ საოცარი ადამიანები მიდგანან გვერდში, მათ შორისაა ლელა ნინუა, საოცარი პიროვნება და პროფესიონალი.

საქართველოში ჩამოვიტანე ჩემი ორი პროექტი და ორივე ვაჩუქე საქართველოს. ქუთაისელი ვარ და ჩემს საყვარელ ქალაქში დავაარსეთ ქუთაისის საერთაშორისო საოპერო ფესტივალი. შარშან ჩავატარეთ და უდიდესი რეზონანსი ჰქონდა. ამ ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა ალექსანდრე ხომერიკის მასტერკლასი, დიდი თეატრის სოლისტ ირინა არხიპოვას მეუღლის ვლადისლავ პიავკოს მასტერკლასი. წარმოვადგინეთ 3 სპექტაკლი – ვერდის „ტრავიატა“, მასკანის „სოფლის ღირსება“, ლეონკავალოს „ჯამბაზები“ და ასევე გვქონდა გალაკონცერტი. გაზაფხულზე ისევ დავბრუნდებით საქართველოში და იქნება უფრო დიდი და მასშტაბური ფესტივალი.

***– როგორ გაუკვალეთ გზა ალექსანდრე ზაზარაშვილს კარნეგი ჰოლისკენ?***

– ჩვენი ფონდის კიდევ ერთი პროექტი იყო ბავშვებისთვის 6-დან 18 წლამდე. ისინი ჩვენი მომავალი არიან, ამიტომ კონკურსს ერქვა „გზა კარნეგი ჰოლისკენ“. 100-ზე მეტმა ბავშვმა მიიღო მონაწილეობა, 11 საუკეთესო ავარჩიეთ, ჩამოვიდნენ ამერიკაში და კარნეგი ჰოლში იმღერეს. ეს არის საოცარი სტიმული და ბიძგი იმისთვის, რომ ცხოვრებაში იყვნენ წარმატებული ადამიანები.

ამ კონკურსის აღმოჩენა იყო ალექსანდრე ზაზარაშვილი. მან უკრაინული ვოისი მოიგო, აქ კი შევუქმენით ამერიკული ისტორია. კონტრაქტით არ გვაქვს უფლება, ამ ყველაფერზე წინასწარ ვილაპარაკოთ, მაგრამ, პირობას გაძლევთ, სულ მალე შეიტყობთ მის ქუხილს ამერიკაში. ის უპირველეს ამერიკულ შოუშია მიწვეული.

***– თქვენი კულტურული ცენტრი საქართველოში არ დაარსდება?***

– მინდა, უფრო მყარად მოვიკიდო ფეხი ამერიკაში და აუცილებლად დაარსდება ჩვენი კულტურის ცენტრი საქართველოში. ეს აუცილებელზე აუცილებელია, რადგან ერთადერთი, რითიც შეგვიძლია, მსოფლიოს წინაშე ვიამაყოთ, არის ჩვენი საგანძური – ჩვენი კულტურა. თუ დაუკვირდებით, ყველაზე მეტი ნიჭიერი მსოფლიოს სწორედ საქართველომ აჩუქა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**



# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# არჩილ არველაძე: „გიბრალტარის გარდა, მინიმუმ ერთი შეხვედრა მაინც უნდა მოგვეგო“

საქართველოს ნაკრებისთვის სეზონი დასრულდა. ვლადიმირ ვაისის გუნდისთვის მთავარი მატჩები წინ არის – მარტში ჩვენებს უნიკალური შანსი აქვთ, 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის საგზური მოიპოვონ.

ამ და სხვა საინტერესო თემებზე ვეტერანი ფეხბურთელი არჩილ არველაძე საუბრობს.

***– როგორ შეაფასებდით საქართველოს ნაკრების ბოლოდროინდელ თამაშს?***

– მიხარია, რომ შესარჩევი სტაბილურად ჩავატარეთ, თუ დანიასთან სტუმრად ჩატარებულ შეხვედრას არ ჩავთვლით. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ნაკრები უმეტესად თბილისში გამართულ შეხვედრებს უფრო კარგად ატარებდა. თუმცა აქაც იყო ერთი ჩავარდნა – შვეიცარიასთან პირველ ტურში შედარებით პასიურად გამოიყურებოდა. ჩემი გადასახედიდან, შვეიცარიასთან რამდენიმე ის ფეხბურთელი, რომელთაც მეტი მოეთხოვებათ, არ იყვნენ ოპტიმალურ ფორმაში, თუნდაც ყაზაიშვილი, რომელიც ლიდერია. ჩემი აზრით, მან ორივე ტაიმი კარგად უნდა ითამაშოს. გასაგებია, რთულია, მაგრამ მაინც.

როცა ნაკრებს ვაკო, ოქრიაშვილი, ანანიძე აკლია, გუნდს ძალიან უჭირს. ხშირად დატვირთვა ახალგაზრდებზე გადადის, მაგალითად კიტეიშვილი, რომელიც ძალიან სტაბილურია. დაცვაშიც ასე თუ ისე კარგად გამოიყურება ნაკრები. აღსანიშნავია ქვილითაია, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია და გულდასაწყვეტია, რომ ხშირად აკლია ნაკრებს.

გიბრალტარის გარდა, მინიმუმ ერთი შეხვედრა მაინც უნდა მოგვეგო. მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენი მთავარი მიზანი ერთა ლიგაში წარმატების მიღწევაა.

***– ვაისმა რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს შანსი მისცა. როგორ ფიქრობთ, შეძლებენ ისინი ნაკრებში თავის დამკვიდრებას?***

– აქ მწვრთნელის ფაქტორია გამოსარჩევი. მიხარია, რომ ახალგაზრდებს მარტივად ენდობა. ზოგადად ვაისზე ბევრი ამბობს, რომ შეცვლები უჭირს, თუმცა მწვრთნელია და უნაკლო არავინაა. ხარვეზები გვარდიოლასაც აქვს ხოლმე, ეს ჩვეულებრივი მომენტია. როცა დიდ გუნდს წვრთნი, არჩევანი დიდია, თუმცა ჩვენს შემთხვევაში ასე არაა.

ბევრი მწვრთნელია, რომელიც ახალგაზრდებს მარტივად ვერ ენდობა, ვაისი კი, პირიქით, მათ საკმაო დროს უთმობს და ეს დიდი პლუსია. შესაძლოა, ვიღაცას მისი რჩეული 11 კაცი არ მოსწონდეს, თუმცა, არავინ იცის, ვარჯიშზე ვინ როგორ გამოიყურება.

***– ბელარუსთან რას ელით?***

– ამ მატჩისადმი ძალიან ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ბელარუსი ჩვენზე კარგი გუნდი ნამდვილად არ არის. მათთვის დიდი პლუსი ის არის, რომ ბატედან აწყობილი გუნდია. თუმცა ძალიან მნიშვნელოვანია სახლის თამაშის ფაქტორი. არ მინდა, გადამეტებულმა მოლოდინმა ნაკრებზე ცუდად იმოქმედოს. მარტივ მაგალითს მოვიყვან, შარშან როცა მორაგბეთა ნაკრები იტალიაში ჩავიდა, ბევრი გულშემატკივარი მოგებას ელოდა, თუმცა საპირისპირო შედეგი დაფიქსირდა. იმის შემდეგ უფრო ძლიერ გუნდებთან უფრო კარგად ვითამაშეთ.

***– ახალგაზრდულ ნაკრებზეც გკითხავთ – როგორ შეაფასებთ მიმდინარე შესარჩევში?***



– საწყისი 2 მატჩი მოვიგეთ, შემდეგ შეხვედრები ბრძოლაში წავაგეთ. სამწუხაროდ ბავშვური შეცდომები მოგვივიდა და დავისაჯეთ. უკვე დიდები არიან და საკმარისი გამოცდილება აქვთ, რომ მსგავსი შეცდომები არ დაუშვან. ისიც ფაქტია, რომ გუნდი სტაბილურად თამაშობს და მწვრთნელის ხელი ეტყობა. ბევრი შეიძლება სხვანაირად ფიქრობდეს. სამწუხაროა, რომ 21-წლამდელებმა ბოლო შეხვედრები დათმეს, თუმცა შანსი კიდევ არის და, საშინაო მატჩების მოგების შემთხვევაში, ევროპის ჩემპიონატზე გასვლისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.

***– ნაკრების მთავარი კატალიზატორი ეროვნული ჩემპიონატი უნდა იყოს. პროგრესი შეიმჩნევა?***

– დროის სიმცირიდან გამომდინარე, მატჩებს ვერ ვუყურებ და ამიტომ შეფასება გამიჭირდება. ფაქტია, დაძაბულობა არის და ჩემპიონობისთვის ბრძოლა გრძელდება.

ჩემპიონატის საზომად ბევრი მაინც ევროტურნირებს მიიჩნევს, ქართული გუნდების მეტოქეები უმეტესად უცხოელებით არიან დაკომპლექტებულები. კლუბებს უკეთესი პირობები უნდა ჰქონდეთ, ფეხბურთელებს ხელფასის პრობლემა უნდა მოეხსნათ. საქართველოს ჩემპიონატში რამდენიმე კარგი მწვრთნელი არის, მაგრამ კახა ცხადაძე აქ არ ჩამოვა, რადგან შესაბამის პირობებს ვერ შეუქმნიან.

ბათუმის დინამომ წლევანდელ ჩემპიონატს გარკვეული ხიბლი შესძინა. ვფიქრობ, გეგუჩაძის შეგირდებისთვის ეს სეზონი მაინც წარმატებულია. ახლად გადმოსული გუნდისთვის მე-2 ადგილი მშვენიერი შედეგია. ჩემპიონობის რეალური შანსი ჰქონდათ, მაგრამ ზედიზედ რამდენიმე ჩაგდებულმა შეხვედრამ უკან დახია, თუმცა მაინც კარგი სეზონი გამოუვიდათ.

***– ვატოზე მინდა გკითხოთ, ტრავმირებულია და როდის დაუბრუნდება მოედანს?***

– წესით, მალე განაახლებს ვარჯიშს, ოღონდ მსუბუქად და მერე იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ იგრძნობს თავს. სამწუხაროდ, ყველაზე მნიშვნელოვანი თამაშები გამოტოვა კლუბშიც და ნაკრებშიც. ვატოც დააკლდა გუნდს და თავად მასაც სურდა ამ თამაშებში მონაწილეობა.

იგივე უნდა ვთქვა გიორგი არაბიძეზეც, რომელმაც ბოლო მატჩები გამოტოვა. ზოგადად ფეხბურთში ტრავმები გახშირდა, თუმცა ჩვენ უფრო გვეტყობა ხოლმე, რადგან 1 და 2 ფეხბურთელის შეცვლა ძალიან რთულია. ბარსელონას უჭირს 2-3 ტრავმირებულის ფონზე თამაში და, ქართულ გუნდსაც რომ გაუჭირდეს, ამაში გასაკვირი არაფერია.

# ბარსელონა, ლაიფციგი და აიაქსი ფლეი ოფში გავიდნენ

## ე ჯგუფი

### ლივერპული-ნაპოლი 1:1

ლივერპული. ენფილდი

0:1 მერტენსი (21), 1:1 ლოვრენი (65)

ამ ჯგუფში ჯერ კიდევ არაფერია გადაწყვეტილი. მართალია, წილისყრის შემდეგ ლივერპული და ნაპოლი ფავორიტებად მიიჩნეოდნენ, მაგრამ ბოლო ტურის წინ ფლეი ოფში გასვლის შანსი ზალცბურგსაც აქვს.

ფავორიტები დაზავდნენ. ანგარიში ნეაპოლელებმა გახსნეს, მაგრამ ლივერპულმა გათანაბრება მოახერხა, თუმცა მწვრთნელს იუბილე მაინც ჩაუმწარეს. „წითლების“ თავკაც იურგენ კლოპისთვის ეს ევროტურნირებზე მეასე მატჩი იყო – 52 მოგება, 23 ფრე და 25 წაგება.

### გენკი-ზალცბურგი 1:4

გენკი. ლუმინუს არენა

0:1 დაკა (43), 0:2 მინამინო (45), 0:3 ჰვანგი (69), 1:3 სამატა (85), 1:4 ჰოლანდი (87)

ზალცბურგმა სტუმრად გენკი 4:1 დაამარცხა და ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა. ამისათვის ბოლო ტურში შინ ლივერპულს უნდა მოუგოს. ეს ურთულესი იქნება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ლივერპულში მატჩი 4:3 დამთავრდა, ზალცბურგელებს იმედი რჩებათ.

რაც შეეხება შეხვედრას, აქ ყველაფერი პირველი ტაიმის ბოლოს გადაწყდა, როდესაც დაკამ და მინამინომ ზედ შესვენების წინ 2 გოლი გაიტანეს.

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 5 | 3 | 1 | 1 | 11-8 | 10 |
| 2.ნაპოლი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-4 | 9 |
| 3.ზალცბურგი | 5 | 2 | 1 | 2 | 16-11 | 7 |
| 4.გენკი | 5 | 0 | 1 | 4 | 5-16 | 1 |

## ფ ჯგუფი

### ბარსელონა-დორტმუნდი 3:1

ბარსელონა. კამპ ნოუ

1:0 სუარესი (29), 2:0 მესი (33), გრიზმანი (67), 3:1 სანჩო (77)

ბარსელონამ საკუთარ მოედანზე უპრობლემოდ, 3:1 სძლია დორტმუნდს და ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა.

გოლები სამივე შემტევმა გაიტანა – სუარესი, მესი, გრიზმანი, რომელმაც უსმან დემბელე შეცვალა. ჯეიდონ სანჩოს პრესტიჟის გოლი დაგვიანებული იყო. დორტმუნდმა კი საქმე გაირთულა და ახლა მარტო საკუთარ თავზე არ არის დამოკიდებული.

### სლავია-ინტერი 1:3

პრაღა. სინობო

0:1 მარტინესი (19), 1:1 სუჩეკი (37პ), 1:2 ლუკაკუ (81), მარტინესი (88)

ინტერმა ჩეხეთში 3:1 მოუგო სლავიას და 7 ქულით მეორე ადგილზე გადავიდა. ამდენივე ქულით მესამე პოზიციაზე დორტმუნდია, რომელსაც ინტერთან ურთიერთშეხვედრებში უარესი მაჩვენებელი აქვს.



35-ე წუთზე ტაბლოზე რომელუ ლუკაკუს გოლის შემდეგ 0:2 აინთო, მაგრამ მსაჯმა შიმონ მარჩინიაკმა ვიდეოგამეორების ნახვის შემდეგ ჩასათვლელი გოლი გააუქმა, საპასუხო შეტევისას კი „ნერაძურის“ კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც სუჩეკმა გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა. თუმცა ლუკაკუმ, რომელსაც კიდევ ერთი გოლი არ ჩაუთვალეს, თავისი მაინც გაიტანა, ბოლოს კი მარტინესმა დუბლი შეასრულა.

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| 2.ინტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 9-7 | 7 |
| 3.დორტმუნდი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-7 | 7 |
| 4.სლავია | 5 | 0 | 2 | 3 | 3-8 | 2 |

## ჯ ჯგუფი

### ლაიფციგი-ბენფიკა 2:2

ლაიფციგი. რედ ბულ არენა

0:1 პიცი (20), 0:2 კ.ვინისიუსი (59), 1:2, 2:2 ფორსბერგი (90პ, 90)

ლაიფციგმა, რომელიც ბენფიკასთან შინ 0:2-ს აგებდა, კომპენსირებულ დროში ფორსბერგის დუბლით გაათანაბრა და ფლეი ოფში გავიდა.

ლაიფციგის 32 წლის მწვრთნელი იულიან ნაგელსმანი ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელია, რომლის ხელმძღვანელობითაც გუნდი ფლეი ოფში გავიდა.

### ზენიტი-ლიონი 2:0

პეტერბურგი. გაზპრომ არენა

1:0 ძიუბა (42), 2:0 ოზდოევი (84)

ზენიტმა 2:0 მოუგო ლიონს და სატურნირო ცხრილში 7 ქულით მეორე პოზიციაზე დამკვიდრდა. ამდენივე ქულით მესამე ადგილზე ლიონია.

საინტერესო იქნება ბოლო ტური – ლიონი დაუხვდება უმოტივაციო ლაიფციგს, ხოლო ბენფიკას ზენიტი ესტუმრება. აღსანიშნავია, რომ ლისაბონელებს ჯერ კიდევ აქვთ შანსი, ფლეი ოფში თუ არა, ევროპის ლიგაზე მაინც გადაინაცვლონ.

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლაიფციგი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-6 | 10 |
| 2.ზენიტი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 3.ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 4.ბენფიკა | 5 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 4 |

## ჰ ჯგუფი

### ვალენსია-ჩელსი 2:2

ვალენსია. მესტალია

1:0 სოლერი (40), 1:1 კოვაჩიჩი (41), 1:2 პულიშიჩი (50), 2:2 ვასი (82)

**გამოუყენებელი პენალტი:** პარეხო (ვალენსია 65)

ჯგუფის ცენტრალურ მატჩში ვალენსია და ჩელსი 2:2 დაზავდნენ. ეს შედეგი ლონდონელებს უფრო აწყობდათ, რადგან ორივე გუნდს 8-8 ქულა აქვს. ამასთან, ვალენსიელებს ლიდერთან სტუმრად აქვთ ჩასატარებელი მატჩი, ხოლო ჩელსი შინ დაუხვდება ლილს.

თამაში კი მხიარული გამოვიდა – ორივე გუნდს მრავლად ჰქონდა მომენტები, რომლებიც თანაბრად გამოიყენეს.

### ლილი-აიაქსი 0:2

ლილი. პიერ მორუა

0:1 ზიეჩი (2), 0:2 პრომესი (59)

აიაქსმა სტუმრად მოუგო ლილს, 10 ქულით გალიდერდა და ფლეი ოფში გასვლის დიდი შანსი დაიტოვა.

ნიდერლანდელთა ნახევარმცველმა ჰაკიმ ზიეჩმა ანგარიში 1:34-ე წუთზე გახსნა, რაც მიმდინარე ტურნირზე ყველაზე სწრაფი გოლია.

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.აიაქსი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-5 | 10 |
| 2.ვალენსია | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 3.ჩელსი | 5 | 2 | 2 | 1 | 9-8 | 8 |
| 4.ლილი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-12 | 1 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

27 ნოემბერი

ფეხბურთი

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-დორტმუნდი | 3:1 |
| სლავია-ინტერი | 1:3 |
| ლივერპული-ნაპოლი | 1:1 |
| გენკი-ზალცბურგი | 1:4 |
| ვალენსია-ჩელსი | 2:2 |
| ლილი-აიაქსი | 0:2 |
| ზენიტი-ლიონი | 2:0 |
| ლაიფციგი-ბენფიკა | 2:2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ბლექბერნი-ბრენტფორდი | 1:0 |
| ქპრ-ნოტინგემი | 0:4 |
| მიდლსბრო-ბარნსლი | 1:0 |
| ჰალი-პრესტონი | 4:0 |
| უენსდი-ბირმინგემი | 1:1 |
| ვესტ ბრომვიჩი-ბრისტოლი | 4:1 |

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ონორე დე ბალზაკის ცნობილი მოთხრობა; 2. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე ქართველი მხატვარი; 3. აეროპორტი პეკინში; 4. საკონდიტრო ნაწარმი; 5. უდაბნო შუა აზიაში; 8. სხეულთა მოძრაობის კანონთა შემსწავლელი მექანიკის დარგი; 12. უღრან ტყეებსა და ალპურ ზონაში ბინადარი ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 13. იტალიური კომედიური თეატრის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; 14. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 15. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 18. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 20. მდინარე ფლორენციაში.

**თარაზულად:** 6. ხმის ჩანაწერების არქივი; 7. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 8. ტყავის დამზადების ოსტატი ძველად; 9. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 10. მინერალი, ტყვიის შემცველი მადანი; 11. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 15. ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინაში; 17. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 19. ვაშლის ქართული ჯიში; 21. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია; 22. ყველაზე დაბალი ქალის სასიმღერო ხმა; 23. უღელტეხილი აჭარაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ტრიესტი; 2. სამაია; 3. კატეხიზმო; 4. კამენა; 5. კორექცია; 7. მასა; 11. ტანკერი; 13. პაროდია; 15. ყანწი; 16. ბზიფი; 19. ლისტი.

**თარაზულად:** 6. რეიმსი; 8. ვაჩნაძე; 9. ბომბორა; 10. საფანტი; 12. ქაცვი; 14. ვადუცი; 17. მირანგულა; 20. აგევზია; 21. რწყილი; 22. მოსტრა; 23. პირამიდა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შინჯუკუ; 2. რარიტეტი; 3. ინტელი; 4. გიენა; 5. დიპტანკი; 8. კერატიტი; 12. საბო; 13. აკადემია; 14. არქივი; 16. ტიციანი; 18. ტვიში; 20. ალბა.

**თარაზულად:** 6. ვიქტორია; 7. მონოტიპი; 8. კაჭიჭი; 9. ბურჟე; 10. ნეისმიტი; 11. პლესეცკი; 15. აკროტოფორი; 17. სოპოტი; 19. ველასკესი; 21. ამნეზია; 22. სამშვილდე; 23. ჰაჯიბეი.

# სამგლოვიარო განცხადებები

## ცრემლდანამული ბწკარები

ამაოდ ვევედრები უფალს, ჩემზე უმცროსს მტერსაც ნუ მომიკლავმეთქი. ჩემი შვილების ზაზას, ზვიადის, ირაკლის დედმამიშვილის დარად საყვარელი მეგობრის

**დათო ავალიშვილის**

გარდაცვალებით თავზარდაცემული ვაკოწიწებ სიტყვებს იმ აუწერელი მწუხარების გამოსახატავად, რომელმაც გული ბუდიდან დაძრა. რა სიტყვა ვპოვო გამწარებული დედ-მამის, მეუღლის, შვილების, სანათესავოსა თუ სამეგობროს სანუგეშოდ, როცა თავად ვერ ვწყნარდები...

უდროოდ წავიდა ღირსეული მამულიშვილი, ჩვენი დათო! მშრომელი, ზრდილი, თბილი, კაცთმოყვარე, ერის ერთგული; ვაი, რომ დაობლდნენ დეა და გუკა...

ვიდრე ვიცოცხლებ, ვერ დავივიწყებ, მექნება ნატვრა გაუხუნარი, ისღა მამშვიდებს, რომ ყველა დროებით ვართ სოფლის სტუმარი.

ნათელში იყოს შენი სპეტაკი სული, ჩემო დათო!

*ნანა დარჩიაშვილი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


29 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9744

ევრო — 3.2757

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.8465

100 რუსული რუბლი — 4.6504

## ამინდის პროგნოზი 29 ნოემბერი







## 26 ნოემბრიდან

იაკობ გოგებაშვილი

# საგანძური

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

## დალი ჩიტალაძე საავადმყოფოში მოხვდა

მოდის ბლოგერსა და „მასტერშეფის“ მეორე სეზონის მონაწილე დალი ჩიტალაძეს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა.



ამის გამო დალი საავადმყოფოში მოხვდა.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ფეხები წაერთვა და სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

## ანრი ჯოხაძის „ცივი ნოემბერი“ ქესტურ ენაზე აჟღერდა

ანრი ჯოხაძის ერთ-ერთი ბოლო სიმღერა „ცივი ნოემბერი“ ქესტურ ენაზე აჟღერდა.



სიმღერა, რომელსაც 4 მილიონზე მეტი ნახვა აქვს და მსმენელში დიდი მოწონებით სარგებლობს, პოეტ ნიკა ჩერქეზიშვილის ლექსზეა შექმნილი.

ანრის სიმღერა ქესტურ ენაზე მაია ბოლქვაძემ წარმოადგინა. მან ვიდეორგოლი გადაიღო, ინტერნეტში განათავსა და რიგით მაყურებლებთან ერთად ანრისგან მოწონების ნიშნად გულწრფელი კომპლიმენტი და მადლობაც დაიმსახურა.

## ილია ჭავჭავაძის მუზეუმის თანამშრომლები მოსწავლეებთან შეხვედრაზე პოლიციამ არ შეუშვა

ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლების შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან პოლიციის გამო არ შედგა.

ინფორმაცია მუზეუმმა თავად გაავრცელა:

— ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები გორის ე.წ. საზღვრისპირას მდებარე ქვემო ნიქოზის პოლიციის საგუშაგომ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე არ შეუშვა სკოლაში მოსწავლეებთან შესახვედრად.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი

მეზობლებმა მეორე მეზობლის ჭიშკარზე წარწერა: „ფრთხილად! ავი ძაღლია!“ შენიშნეს და ერთი მეორეს ეკითხება:

— რა, გიგიმ ძაღლი მოიყვანა?

— არა, უბრალოდ, მისი ცოლი ცუდ განწყობაზეა...

•••

გამომძიებელი დაზარალებულს ეკითხება:

— ფული სად გქონდათ შენახული?

— ლიფში.

— კი მაგრამ, რატომ მაშინ არ აყვირდით, როდესაც მან ხელი ჩაგიყოთ?

— მე მეგონა, რომ ამას კეთილი განზრახვით აკეთებდა...

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

— კაცო, ჩემი ტრუსიკი რატომ ჩაიცვი?

— შენ არ მითხარი, რომ სპეციალურად ჩემთვის იყიდე...

•••

მამაკაცი ექიმს შესჩივის:

— ექიმო, ხელს აქ რომ ვიდებ, ძალიან მტკივა და როგორ მოვიქცე?

— შენც ხელს ნუ დაიდებ...

## იურგენ კლოპი: „უკეთესად უნდა გვეთამაშა“



ლივერპულმა საკუთარ მოედანზე ნაპოლის დამარცხება ვერ შეძლო და ბოლო ტურის წინ მდგომარეობა ოდნავ გაირთულა, რადგან თეორიული შანსი არსებობს, რომ ლივერპული ჯგუფში დარჩეს.

იურგენ კლოპმა ნაპოლისთან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ლივერპულს უკეთესად თამაში მართებდა:

— შედეგით კმაყოფილი არ ვარ, რადგან საკუთარ მოედანზე მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ, ამიტომ უკეთესად უნდა გვეთამაშა. ზალცბურგთან ბოლო ტურში დაძაბული მატჩი გვექნება და არ უნდა მოვდუნდეთ.

ზალცბურგთან მატჩი 10 დეკემბერს გაიმართება.




## ერლინგ ჰოლანდის გადმობირება რეალსაც მოუნდა

ზალცბურგის ნორვეგიელი ფორვარდი ერლინგ ჰოლანდი წლევანდელ სეზონში შესანიშნავ შედეგს აჩვენებს და 19 შეხვედრაში უკვე 27 გოლი გაიტანა, აქედან 8 გოლი — ჩემპიონთა ლიგაში.

ბუნებრივია, მისი ასეთი თამაში მსოფლიო ფეხბურთის გრანდების ყურადღების ქვეშ მოექცა და მისი გადაბირება უკვე ბევრ გუნდს სურს, რომელთა რიცხვს მადრიდის რეალიც შეემატა. რეალი ჰოლანდში 70 მილიონს იხდის, მაგრამ ავსტრიელები მის გაყიდვას 100 მილიონზე ნაკლებად არ აპირებენ.

## ანტონიო კონტე: „ბარსელონას უნდა მოვუგოთ“

ინტერის მთავარმა მწვრთნელმა ანტონიო კონტემ განაცხადა, რომ ბოლო ტურში მის გუნდს ბარსელონასთან რთული შეხვედრა ექნება, მაგრამ ინტერმა აუცილებლად უნდა მოიგოს, რადგან სხვა შემთხვევაში ჯგუფიდან ვერ გავა.

კონტეს აზრით, გულშემატკივრის მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება:

— ვიცი, რომ შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს და ვეცდებით, ჩვენი შანსები გამოვიყენოთ. ბარსელონასთან გამარჯვება ყოველთვის რთულია, მაგრამ სხვა გზა არ დაგვრჩა.

## ერნესტო ვალვერდე: „მაღალი დონის ფეხბურთი ვითამაშეთ“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ განაცხადა, რომ ბარსელონამ ბორუსიის წინააღმდეგ ძალიან კარგად ითამაშა და მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

ვალვერდეს თქმით, კატალონიელებმა სწორედ ისე ითამაშეს, როგორც ასეთი ტიპის შეხვედრებშია საჭირო:

— ბორუსია ძლიერი გუნდია და ვიცოდით, რომ შეცდომის დაშვების უფლება არ გვქონდა. ყველა ფეხბურთელმა მაღალ დონეზე იასპარეზა, ამიტომ ვინმეს გამოყოფას არ ვაპირებ. ჩვენ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## საქართველო ერთი საფეხურით დაქვეითდა

ფიფამ ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც საქართველოს ნაკრები ერთი საფეხურით დაქვეითდა და ამჟამად 91-ე ადგილზეა.

ბოლო ერთ თვეში ვლადიმირ ვაისის გუნდი 2-ჯერ დამარცხდა: შვეიცარიასთან (0:1) და ხორვატიასთან (1:2). სწორედ აქედან არის გამოწვეული ის მცირე ვარდნა.

თუმცა, საქართველოს ეროვნულ გუნდს მთავარი მატჩები წინ აქვს: 26 მარტს ბელარუსს ვუმასპინძლებთ, ხოლო მათთან გამარჯვების შემთხვევაში 31 მარტს ასევე საკუთარ მოედანზე ჩრდილოეთ მაკედონიასა და კოსოვოს შორის უმჯობესს გავეჯიბრებით.

ბელარუსი ამ ეტაპზე 4 საფეხურით გვისწრებს. ჩრდილოეთ მაკედონია 68-ე ადგილზეა, ხოლო კოსოვოს 115-ე ადგილი კი იმითაა განპირობებული, რომ ფიფაში ახალი გაწევრიანებულია და ჯერ საკმარისი რაოდენობის მატჩი არც ჩაუტარებია. სხვა შემთხვევაში კოსოვო გაცილებით წინ იქნებოდა.

საუკეთესო ათეული თითქმის უცვლელი დარჩა, მხოლოდ პორტუგალიამ გაუცვალა ადგილი ხორვატიას.

1.ბელგია – 1.765 ქულა; 2.საფრანგეთი – 1.733; 3.ბრაზილია – 1.712; 4.ინგლისი – 1.661; 5.ურუგვაი – 1.645; 6.ხორვატია – 1.642; 7.პორტუგალია – 1.639; 8.ესპანეთი – 1.636; 9.არგენტინა – 1.623; 10.კოლუმბია – 1622.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ბითაძეს მცირე დროს უთმობენ

გოგა ბითაძის ინდიანა მოგებათა სერიას აგრძელებს — ქართველი ცენტრის გუნდმა ზედიზედ 4 გამარჯვება იზეიმა. პეისერსის მეტოქე ამჯერად დასავლეთ კონფერენციის ფლეი ოფის ზონაში მყოფი იუტა ჯაზი გახლდათ, რომელიც ბითაძის გუნდმა 121:102 დაამარცხა.



გოგამ 12 წუთი ითამაშა და 3 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი დააგროვა. ჩვენებურმა 4 2-ქულიანი მცდელობიდან 1 ჩააგდო, ასევე ერთხელ უწია მიზანს 2 საჯარიმო სროლიდან.

17 თამაშის შემდეგ 11 მოგებით და 6 მარცხით ინდიანა პეისერსი აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-6 ადგილზეა. ბითაძის გუნდი მომდევნო შეხვედრაში ატლანტას უმასპინძლებს.

გიორგი ბეჟანიშვილის ილინოისმა ამერიკის სტუდენტურ ლიგაში მორიგი მატჩი მოიგო და მიმდინარე სეზონში 7 შეხვედრიდან მხოლოდ 1 მარცხი გააჩნია. ახლა კი, როცა არასაკონფერენციო თამაშებია, გუნდებს ოპონენტები ურთიერთმოლაპარაკებით, წინასწარ ჰყავთ შერჩეული. ამიტომაც იყო ილინოისმა მე-2 დივიზიონის ლინდენვუდი 52 ქულით რომ გაანადგურა – 117:65.

ბეჟანიშვილმა ლინდენვუდთან სასტარტო ხუთეულში 20 წუთი ითამაშა და 10 ქულა ისე მოაგროვა, ბურთი არ აუცდენია. გიორგიმ 4-დან 4 ორქულიანი და 2 საჯარიმო ჩააგდო. 10 ქულას ქართველმა ფორვარდმა 4 მოხსნა და 2 პასი მოაყოლა.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ასტროპროგნოზი



29 ნოემბრისათვის

**ვერძი** — იმპულსურობა საქმეს გააფუჭებს. დღეს საოჯახო და პირადი პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. **კურო** — აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. **ტყუპები** — კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის, ასევე სამოგზაუროდ ან მივლინებაში წასასვლელად. **კირჩხიბი** — საკუთარი ძალებისადმი იმედგაცრუებაა მოსალოდნელი. ნუ დაივიწყებთ პარტნიორებს, რომლებიც ერთ დროს წარმატების მიღწევაში დაგეხმარნენ. **ლომი** — კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. საკუთარი ადგილი იცოდეთ. **ქალწული** — სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იაქტიურეთ. საქმიანი მოლაპარაკებებისათვის შეუფერებელი დროა. **სასწორი** — სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთობა წარმატებული იქნება. დაუფიქრებელ, სპონტანურ გადაწყვეტილებებს არასასურველი შედეგი მოჰყვება. **ღრიანკალი** — ფინანსებს გაუფრთხილდით. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. საკუთარი შესაძლებლობები კარგად გათვალეთ. **მშვილდოსანი** — მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, რაც, შესაძლოა, მოულოდნელმა მივლინებამ განაპირობოს. **თხის რქა** — სერიოზული საქმიანი მოლაპარაკებები არ წამოიწყოთ. უმჯობესია, თუ დღეს ყოფითი პრობლემების მოგვარებაზე იზრუნებთ. **მერწყული** — დიდი ყურადღებით მოეკიდეთ ფინანსებს. ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯი სახიფათოა. **თევზები** — დიდი დატვირთვა გელით როგორც ფიზიკურად, ისე — ემოციურად. საქმიან ქაღალდებს ხელს ნუ მოაწერთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. თავდავიწყებამდე მისული უკიდურესი აღფრთოვანება, აღტყინება; 2. იაპონური მაგიდის ლოგიკური სათამაშო; 3. საგანთა, მოვლენათა ან თვისებათა ერთობლიობა; 4. კავკასიის ალპურ ზონაში გავრცელებული გარეული ინდაური; 5. აეროპორტი მილანში; 7. ქართული სამშენებლო კომპანია; 11. რაიონული ცენტრი სვანეთში; 13. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 15. მოედანი პარიზში, სადაც ტარდებოდა სიკვდილით საჯარო დასჯა; 16. სამეურნეო საწარმო სოფლად; 18. ფეთქებადი ჭურვი; 19. უძველესი ებრაული სახელმწიფო.

**თარაზულად**: 6. თანამდებობის პირის მოსასყიდად გაცემული თანხა; 8. დედამიწის აგებულებისა და შედგენილობის შემსწავლელი მეცნიერი; 9. ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 10. მღვდელმთავართა საერთო სახელწოდება; 12. მოგზაურობა წრიული მარშრუტით; 14. ამერიკელი ესტრადის მომღერალი მამაკაცი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 17. ეკონომიკის დაქვეითება, კრიზისი; 20. მოხარშულ კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 21. ფოლადის ბაგირი გემზე; 22. სატუსაღო ძველ თბილისში; 23. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*